# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 ოქტომბერი 2001 №204 (1477) ფასი 50 თეთრი


# 11 ლიგიონერი

მეორე ეტაპზე გასულ რეალს, სპარტას, იუვენტუსს, ბარსელონას, ლევერკუზენს, ბაიერნს, მანჩესტერს და დეპორტივოს წუხელ რომა, პანათინაიკოსი და არსენალიც შეემატნენ



რეალი — რომა 1:1. გაბრიელ ბატისტუტა, რომელსაც ფრანსისკო პავონი მეურვეობდა, ბურთს წაქცეულიც არ თმობს



კლოდ სორელი მსოფლიოს 2001 წლის საუკეთესო მწვრთნელობის კანდიდატია

## საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მსოფლიომ დააფასა

### ირბ კანცელარია არ არის: იქ იციან...

11 ნოემბერს ლონდონში გრანდიოზული ცერემონიალი გაიმართება — რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) 2001 წლის საუკეთესო მორაგბეს, მწვრთნელს, თხუთმეტკაცა და შვიდკაცა გუნდებს დაასახელებს და დააჯილდოებს. თითქოს ჩვენ რა, მაგრამ საოცარი და სასიამოვნო ის გახლავთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ამბავი ქართული რაგბის გარეშე არ ჩაივლის, რადგან საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი მსოფლიოს 2001 წლის საუკეთესო მწვრთნელობის ოთხიდან ერთ-ერთი კანდიდატია.

ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, დუბლინში ირბ-ს ოფისს დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს, რომ ნომინაციაში „2001 წლის საუკეთესო მწვრთნელი" საგანგებო ჟიურიმ მრავალთაგან ოთხი კანდიდატი შეარჩია, მათ შორის კლოდ სორელი. დანარჩენი სამი ნომინანტის ვინაობა ირბ-მ არ გაგვიმხილა: ინფორმაცია ჯერჯერობით კონფიდენციალურია და საზოგადოებას მხოლოდ მომავალ კვირაში ვაცნობებთო.

ესეც ასე — ქართული რაგბი მსოფლიო ფორუმზეც წარდგება. და ვინ წარადგენს?! ბორჯღალოსანთა ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, რომელსაც ცოტა ხნის წინ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიამ ყბადაღებული ღირსების ორდენი დაამადლა.

18 ნოემბერი. თბილისი. «ეროვნული»

## საქართველო - სამხრეთ აფრიკა

# აფრიკელი მისიონერები ორივე იბერიის გაბრწყინებას აპირებენ

ნოემბერში სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა „ა" ნაკრები ოთხმატჩიან ევროპულ ტურნეს გამართავს. 18 ნოემბერს აფრიკელები თბილისში დაუპირისპირდებიან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. სამხრეთ აფრიკა ამ ტურნეს ფარგლებში ბორჯღალოსანთა გარდა ესპანეთის ეროვნულ, საფრანგეთის „ა" და ინგლისის კლუბების ნაკრებს შეხვდება.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა გამოაქვეყნა თავისი გუნდის საევროპო შემადგენლობა, სადაც რამდენიმე ისეთი მორაგბეა, რომელთაც არაერთხელ დაუცავთ სამხრეთ აფრიკის ეროვნული ნაკრების, „ქურციკების" ღირსება და უმაღლეს დონეზე უთამაშიათ. მაგალითისთვის რასი ერასმუსი, კორნე კრიხე, გაფი დიუ ტუა და კრის როსოუ იკმარებენ. სამხრეთაფრიკელთა ამგვარი გადაწყვეტილება იოლი გასაგები იქნება, თუ ამ ქვეყნის რაგბის კავშირის დირექტორ რაიან ობერჰოლცერს მოვუსმენთ: „საქართველოსთან და ესპანეთთან მატჩები ისტორიული მნიშვნელობისაა, მათ რაგბის გლობალურ განვითარებაში უნდა შეიტანონ წვლილი. ამიტომაც თბილისსა და სევილიაში ჩვენი წამყვანი მოთამაშეებით გაძლიერებულ გუნდს გავაგზავნით."

**სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრები ევროპული ტურნესთვის**

მორკინალები: რასი ერასმუსი*, უეინ ფან ჰეერდენი, კორნე კრიხე* (კაპიტანი), ჰენდრო სხოლტცი, რასელ ვინტერი, უორენ ბრიცი, კვინტონ დევიდსი*, ბაკიზ ბოთა, იანეს ლაბუსხაგნე, ალბერტ ფან დენ ბერგი*, ეტიენ ფინი*, ფაან რაუტენბახი, ტოკს ფან დერ ლინდე*, დაან ჰუმანი, დეილ სანტონი*, ანდრე ფან ნიკერკი; უკანა ხაზი: ტინუს დელპორტი*, ვილი ჰუმანი, გევინ პასენსი*, ფრიდრიხ ლომბარდი, ფრიკი ველში, გკობანი ბობო, მარიუს ჟუბერი*, უეინ იულიესი*, გაფი დიუ ტუა*, კრის როსოუ*, კრეიგ დევიდსონი*, ნილ დე კოკი*. შენიშვნა: * - უთამაშიათ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ნაკრებში.



მსოფლიო რაგბის სამხრეთაფრიკელი ვარსკვლავი რასი ერასმუსი თბილისში გვეწვევა

# ჩემპიონთა ლიგა. მეხუთე ტური. გუშინ



REUTERS ბრიუსელიდან

ანდერლეხტი — ლოკომოტივი. ალექსანდრ ილიჩის ერთადერთი გოლი ხუთის გამტან მოსკოველთა კარში



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — მალიორკა. ტიერი ანრი უგოლოდ არც ამჯერად დარჩა



REUTERS რომიდან

ლაციო — გალათასარაი. ერნან კრესპო თურქებს ნიღბით დაუხვდა



REUTERS მადრიდიდან

რეალი — რომა. ლუიშ ფიგუმ (შუაში) თავისი მაინც გაიტანა

## A ჯგუფი

### რეალი 1:1 რომა

0:1 ტოტი (35), 1:1 ფიგუ (75პ)
რეალი: სესარი, სალგადო, იერო (ელგერა 46), პავონი, რობერტო კარლოსი (სოლარი 46), მაკელელე, სელადესი, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 78)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო (ალდაირი 66), კაფუ, ტომაზი (ასუნსაო 66), ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი (დელვეკიო 89), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფიგუ, სამუელი, ძებინა, კაფუ, მაკელელე
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
70 000 მაყურებელი

### ანდერლეხტი 1:5 ლოკომოტივი

1:0 ილიჩი (2), 1:1 იზმაილოვი (13), 1:2 სენნიკოვი (28), 1:3 პიმენოვი (57), 1:4, 1:5 ბუზნიკინი (63, 69)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, დე ბუკი, ილიჩი, ჰენდრიქსი, ვანდერეგე, ჰასი, ელ საიდი (დე ბილდე 46), იაშჩუკი (კარასა 59), მორნარი, დინდანე (იესტროვიჩი 63)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, სენნიკოვი, ლევხეტო (ნიჟეგოროდოვი 84), იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობიორა (ბუზნიკინი 54), იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი (დროზდოვი 75)
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ჩერევჩენკო, ლევხეტო
მსაჯი: მაიკლ მაკკარი (შოტლანდია)
22 502 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 |
| რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | 2 |

## B ჯგუფი

### დორტმუნდი 1:0 დინამო

1:0 როსიცკი (34)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მეცელდერი, დედე, რიკერი, ოლისე, როსიცკი, სორენსენი (ბუგრი 84), იან კოლერი, რიკენი (მადუნი 90)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
დინამო: რევა, ხაცკევიჩი, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი, გიოანე, გუსინი, ფიოდოროვი, იდაჰორი (ჩერნატი 54), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი (ბოდნარი 62)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
გაფრთხილება: ჩერნატი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
41 000 მაყურებელი

### ბოავიშტა 1:1 ლივერპული

0:1 მერფი (17), 1:1 ელპიდიუ სილვა (60)
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (მარტელინო 26), პაულუ ტურა, ერივენი, პედრუ ემანუელი, ფრეჩაუ, პეტი, სანჩესი, დუდა (ბოსინგვა 57), ალექსანდრე (მარსიუ სანტუში 57), ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია (ს. რაიტი 5), ანჩო, ჰამანი, რიისე, მერფი, მაკალისტერი (ბერგერი 75), ზმიცერი, ჰესკი, ფაულერი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ჰამანი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
10 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| დინამო | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | 1 |

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი 2:0 შალკე

1:0 ოლისადებე (31). 2:0 კონსტანტინუ (61)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, მენდრინოსი, სეიტარიდისი (სარივი 69), პაულუ ასუნსაო, ოლისადებე, მიკაელსენი, ვოკოლოსი, კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 72), ბასინასი (გუმასი 64), კარაგუნისი, ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირასტასი
შალკე: რეკი, ვან კერკჰოვენი, მატელანი (ბიომე 51), კმეტჩი, ჰაიტო, მიოლერი, სანდი, ასამოა, ვალდოხი, ვერმანტი (ტონი 79), ვილმოტსი (მულდერი 66)
მწვრთნელი: ჰუებ სტევენსი
გაფრთხილება: ასამოა, კონსტანტინუ, ფისასი, კმეტჩი, ტონი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
17 200 მაყურებელი

### არსენალი 3:1 მალიორკა

1:0 პირესი (61), 2:0 ბერხკამპი (63), 2:1 ნოვო (74), 3:1 ანრი (90)
არსენალი: რ. რაიტი, გრიმანდი (პარლორ 84), კემპბელი, კოული, ლორენი, ვიეირა, პირესი, ლიუნგბერგი (კანუ 78), ვან ბრონკჰორსტი, ბერხკამპი (ვილტორდი 72), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ოლაიზოლა, ნადალი, ფათიჰი (ლეო ბიაჯინი 65), მიგელ სოლერი, პაუნოვიჩი, კამპანო, ნოვო, ენგონგა, მარკოსი (რობლესი 72), დიასი, ლუკე (კარლოსი 82)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
გაფრთხილება: ფათიჰი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
34 764 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 12 |
| არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| მალიორკა | 5 | 2 | 0 | 3 | 3:9 | 6 |
| შალკე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 3 |

## D ჯგუფი

### ლაციო 1:0 გალათასარაი

1:0 სტანკოვიჩი (76)
ლაციო: პერუცი, სტამი (პანკარო 46), ნესტა, ნეგრო, ფავალი, სესარი, ჯანიკედა, ფიორე (სტანკოვიჩი 62), მენდიეტა, კრესპო, კლაუდიო ლოპესი (ს. ინძაგი 72)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გალათასარაი: მონდრაგონი, ვედათი (სუათი 16), ემრე ასიქი, ვიქტორია (სერქანი 81), პერესი, ბიულენთ აკინი, სერგენი, ფლურკინი, ერგუნი, უმით კარანი (არიფი 65), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

### პსვ ეინდჰოვენი 0:0 ნანტი

პსვ ეინდჰოვენი: ლოდევაიქსი, ოიერი, ფაბერი, ბაინცე, ჰოფლანდი, რომედალი (ბრუგინკი 62), ლუსიუსი, ფოგელი (ჟ. დე იონგი 80), ბუმა (ხაჩოკიძე 84), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ჟოლე, ფაბრი, არმანი, ბერსონი (სავინო 45), ჯემბა, კუინტი (ოლემბე 82), ზიანი, და როშა, ანდრე (დეროფი 82)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ლასპალი, ფაბრი, ფოგელი, და როშა, ჯემბა
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
31 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| გალათასარაი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| ლაციო | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა

გადადებული მატჩები
ასტონ ვილა 1:0 ჩარლტონი
საუთჰემპტონი 3:3 იფსვიჩი
ვესტ ჰემი 2:1 ჩელსი

### I დივიზიონი. XV ტური

ძრიუ 0:0 სტოკპორტი
შეფილდ უენსდი 3:1 ბარნსლი
უიმბლდონი 0:1 ძოვენთრი

### II დივიზიონი. XV ტური

პორტ ვეილი 0:2 კარდიფი
სუინდონი 2:0 კემბრიჯი

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი
ვალკპალი 2:1 მარტიგი

## ჰოლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი
ჰერენვენი 5:1 აიაქსი

### თასის II ეტაპი

გრონინგენი 7:1 ასენი

## ავსტრია

### XVII ტური

რიდი 0:2 ტიროლი

## ფინეთი

### XXXII ტური

ჰაკა 0:0 მიუკა
ჯაზი 4:2 როვანიემი
იოკერიტი 1:2 ჰიკ
კუოპიო 2:4 ვაასა
ლაჰტი 1:2 ინტერი
ტამპერე 1:0 ატლანტისი

## იტალია

### თასის II ეტაპი. II მატჩები

ბოლონია 1:3 ემპოლი (4:1)
ლეჩე 1:3 მესინა (1:2)
ჯენოა 1:1 პიაჩენცა (0:0)
უდინეზე 2:0 ტერნანა (4:4)
ვერონა 3:2 სიენა (0:1)
პერუჯა 6:3 მოდენა (1:1)
ფიორენტინა 0:2 კომო (0:2)

## დანია

### თასის 1/8 ფინალი

ნესტვედი 4:2 ლიუნგბიუ
კიოგე 2:3 აკადემისკი
ვიბორგი 0:2 კოპენჰაგენი
სკიოლდი 1:3 სილკეგორგი
ბრონდბიუ 2:4 ოდენსე
კორსორ 0:0 (პენ. 3:5) რანდერს ფრეია

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. E ჯგუფი

# ისიამოვნეთ დელ პიეროთი



იუვენტუსი — პორტუ. ალესანდრო დელ პიერო ტურინელების ნაღდად ყოჩი და კაპიტანი იყო

REUTERS

**იუვენტუსი 3:1 პორტუ**

0:1 კლეიტონი (13), 1:1 დელ პიერო (32), 2:1 მონტერო (47), 3:1 ტრეზეგე (73)
**იუვენტუსი:** ბუფონი, პარამატი, მონტერო, ტუდორი, დელ პიერო (მარესკა 76), ნედვედი, ტრეზეგე, ძამბროტა (ძენონი 72), ტაკინარდი, ტურამი, დავიდსი (ბირინდელი 88)
**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი
**პორტუ:** ოვჩინიკოვი, კარვალიუ, კოშტინია, დეკო სოუზა (რაფაელი 67), ანდრადე, სოდერსტრიომი, იბარა (ჟუნიორი 75), კაპუშუ, კლეიტონი (ელდერი 61), მარიო სილვა, პენა
**მწვრთნელი:** ოქტავიო მაჩადუ
**გაფრთხილება:** დელ პიერო, დავიდსი, კოშტინია, ელდერი
**მსაჯი:** ანდრეს ფრისკი (შვედეთი)

**„ბედნიერი ვარ,** რადგან ახალი გუნდის შესაქმნელად, საერთო სულისკვეთების ჩამოსაყალიბებლად, სწორედ ასეთი გამარჯვება გვჭირდებოდა. ფეხბურთელებმა ძალიან მასიამოვნეს. განსაკუთრებით პაველ ნედვედი და ალესანდრო დელ პიერო მინდა გამოვარჩიო" — ამბობდა „პორტუს" დამარცხებისა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე ადგილის დაბევების შემდეგ ტურინელთა მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი.

მარჩელო ლიპი ის კაცია, რომელმაც „ბებერ ქალბატონს" 1996 წელს უკვე მოაპოვებინა ის ჯილდო, რომლის ხელმეორედ მოსაგებადაც, როგორც ამბობენ, ამ სეზონში ემზადება. ხოლო, დღევანდელ „იუვენტუსში" იმ, ხუთი წლის წინანდელი შემადგენლობიდან ერთადერთი კაცი, ალესანდრო დელ პიეროა შემორჩენილი.

და სწორედ დელ პიერო გახლდათ ტურინელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი, რაც გარდა ზოგადად დიდებული თამაშისა, ანგარიშის გათანაბრებითაც გამოიხატა. დიახ, ანგარიში პორტუგალიელებმა გახსნეს — კლეიტონმა საჯარიმოდან ბურთი ჩააწოდა, მაგრამ მას ვერავინ შეწვდა, „იუვენტუსის" მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის ჩათვლით და კარში შევარდა, მაგრამ გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურებული მასპინძლების შეჩერება სტუმრებმა დიდხანს ველარ შეძლეს. 32-ე წუთზე მათი საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა, რომელიც დელ პიერომ დიდებულად შეასრულა.

მეორე ტაიმი კი მთლად „იუვენტუსისა" გამოდგა. შესვენებიდან ცოტა ხანი იყო გასული, როდესაც „პორტუს" მეკარისგან, ოვჩინიკოვისგან მარჯვენა მხრიდან დელ პიერომ კუთხური ჩააწოდა, წამით უმეთვალყურეოდ დარჩენილმა პაოლო მონტერომ თავური დაჰკრა და მასპინძლები დააწინაურა.

73-ე წუთზე კი დავიდ ტრეზეგემ გამოიჩინა თავი. მანამდე ფრანგი, დიდი ძალისხმევის მიუხედავად ვერაფრით აღწევდა მიზანს, იმ ეპიზოდში კი პაველ ნედვედის ჩინებულ გარღვევას ჩინებულადაც გამოეხმაურა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე დელ პიერომ კიდევ გაიტანა გოლი, მაგრამ თანამსაჯმა შეცდომით თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

ისევ ლიპი: „დელ პიერო გუნდს ბრძნულად ხელმძღვანელობდა. „პორტუს" გოლმა ცოტა შეგვაშინა, მაგრამ მისმა ნიჭმა ყველაფერი თავის ადგილას დააბრუნა. ის ნამდვილი კაპიტანია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მან იქ გაგვიყვანა, სადაც გვინდოდა და ამით ჩვენი პირველი ამოცანა შესრულებულია".

თავად კაპიტანმა კი განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ მთელი გუნდი, მწვრთნელი და მაყურებელი გახარებულია. „იუვენტუსში" კარგი ფეხბურთელები არიან, რაც დღესაც ვაჩვენეთ. მომენტებიც უხვად შევქმენით".

**რუსენბორგი 2:0 სელტიკი**

1:0, 2:0 ბრატბაკი (19, 36)
**რუსენბორგი:** არასონი, ოლსენი, ჰოფტუნი, ბასმა, სტრანდი, ბერგი (ვინსნესი 74), სკამელსრუდი, საარინენი, ჯორჯე (ოტნესენი 83), ბრატბაკი, რუშფელდტი
**მწვრთნელი:** ნილს არნე ეგენი
**სელტიკი:** დუგლასი, ვალგაერენი, ბალდე, ლარსონი, ტომპსონი (მარტისონი 79), სატონი, ლამბერტი, აგატი, ლენონი, პეტროვი (მორავჩიკი 68), მიალბი
**მწვრთნელი:** მარტინ ონილი
**გაფრთხილება:** ბასმა, საარინენი, პეტროვი, ლენონი
**მსაჯი:** ხუან მარინი (ესპანეთი)

**ნორვეგიელმა** ფორვარდმა ჰარალდ ბრატბაკმა თავის ყოფილ გუნდს, გლაზგოს „სელტიკს" ალიყური აჭამა, ორი გოლი გაუტანა. ვინ იცის, გლაზგოელებმა ინანეს კიდეც, რომ ის კაცი, რომელმაც მათთან 18 თვე გაატარა, თავის დროზე სხვას დაუთმეს. ახლა, „სელტიკს" „იუვენტუსთან" დარჩა [illegible] უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ [illegible] საკმარისი. იმავე [illegible] „რუსენბორგს", რომ [illegible] მეორე ჯგუფურ ეტაპს მიღმა დარჩებიან.

„მართლაც ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავმარცხდით — გულდაწყვეტით განაცხადა „სელტიკის" თავკაცმა მარტინ ონილმა — ჩემმა ფეხბურთელებმა ყველა ღონე იხმარეს. მეტს ნამდვილად ველარაფერს მოვთხოვდი".

ბრატბაკი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თავიდანვე იპყრობდა ყურადღებას. იგი მე-9 წუთიდანვე ქმნიდა სახიფათო მომენტებს, ხოლო მე-14 წუთზე ახლო მანძილიდან ვერ მოარტყა მიზანში. იმ წუთას „სელტიკის" ქომაგებმა, ალბათ, იფიქრეს, რომ ბრატბაკი იმასვე აკეთებდა, რასაც „პარკ ჰედზე" თამაშის დროს — ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ხუთი წუთის შემდეგ იან საპრინენის გრძელი პასით მიღებული ბურთი სიგურდ რუშფელდტმა თავით დააგდო და ბრატბაკმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაბალ კუთხეში დაუმიზნა.

25-ე წუთზე ფრანგი დიდიე აგატი დაუსხლტა საარინენს — საპირისპირო კართან შექმნილ სახიფათო მდგომარეობაზე მოგახსენებთ — მაგრამ „სელტიკმა" ამ მომენტისგან ხეირი ვერ ნახა, რადგან ერიკ ჰოფტუნმა კრის სატონს ხელი შეუშალა.

36-ე წუთზე სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაუშვეს. ბერგმა რუშფელდტს გადააწოდა, რომლის დარტყმაც მეკარე დუგლასმა მოიგერია, თუმცა ბურთი შორიახლოს ჩასაფრებულმა ბრატბაკმა იხელთა და ანგარიში გაზარდა.

„ვიცით, ჩვენ ახლა აუცილებლად უნდა დავამარცხოთ „იუვენტუსი", რომელსაც თავი ქუდში აქვს. „რუსენბორგის" იმედიც მაქვს. მას ნამდვილად ძალუძს „პორტუსთვის" ქულების ართმევა" — დასძინა ონილმა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „რუსენბორგს" კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ პირველ ტაიმში დუგლასმა პენალტი მოიგერია.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| სელტიკი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. F ჯგუფი

# თურქული ფუნთუშა

**ლიონი 2:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (8), 0:2 რივალდო (18), 1:2 ლუინდულა (66), 2:2 კარიერი (88), 2:3 ხერარდი (90)
**ლიონი:** კუპე, ედმილსონი (კასაპა 26), ვიოლო, კარიერი, ჟუნინიო, ბრეშე (ლეგლი 78), გოვუ, ფოე ლუინდულა, შანელე (დელმოტი 53), მიულერი
**მწვრთნელი:** ჟაკ სანტინი
**ბარსელონა:** ბონანო, ფ. დე ბური, ხავი, კოკუ, კლუივერტი, რივალდო (ჯოვანი 87), კრისტენვალი, გაბრი, ლუის ენრიკე (ჟერარდი 73), კოკო (რაიციგერი 58), პუიოლი
**მწვრთნელი:** კარლოს რეშაჩი
**გაფრთხილება:** კასაპა, ვიოლო, ლუის ენრიკე, კოკუ, ხერარდი
**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)

**რამდენიმე** დღის წინ თქვეს, ლუის ენრიკე შანტაჟის გზით „ბარსელონას" ბოსებისგან ხელფასის მომატებას ითხოვსო. თავად ფეხბურთელმა კი ასეთი ამბის არსებობა უარყო. ისე კი, თუ მან ასე შედეგიანი თამაში განაგრძო, ფულის გამოძალვა არ დასჭირდება, თავისთავად გაუზრდიან გასამრჯელოს.

ქულაც კი საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ „ბარსა" მეორე ეტაპზე გასულიყო, თუმცა ამას არ დასჯერდა. ლუის ენრიკემ უკვე მერვე წუთზე პატრიკ კლუივერტი ცარიელი კარის წინ ბურთიანად დატოვა. ჰოლანდიელს ხანდახან სჩვევია უცნაურობები, მაგრამ ამჯერად არ ააცილა.

„ლიონის" მდგომარეობა მას შემდეგ უფრო დამძიმდა, როცა ლუის ენრიკემ უკვე რივალდოს გაუკეთა საგოლე პასი, თუმც ორბურთიანმა სხვაობამ მასპინძლები მაინც ვერ გატეხა. ისინი სულ უფრო მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. თავისი ოსტატობის გამოვლენა მოუხდა სტუმართა მეკარე რობერტო ბონანოს. მან რამდენიმე ძნელი ბურთი აილო, მათ შორის სამი — „ლიონის" ფორვარდ პეგი ლუინდულას დარტყმული.

მეორე ტაიმი მთლიანად ფრანგული გუნდის უპირატესობით წარიმართა. იმავ ლუინდულამ მეოთხე ცდაზე მაინც შეძლო გოლის გატანა.

იშტაზე მოსულმა ლიონელებმა ტემპს უმატეს და კიდევ ოცდაორი წუთი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად. აქ ისეთი ვითარება შეიქმნა, „ბარსელონას", ალბათ, ხელი უნდა ჩაექნია, რომ არა გრეგორი კუპე. მასზე, ეტყობა, ცუდი გავლენა იქონია ფაბიენ ბარტეზის გამოხტომებმა და კუთხურის ჩაწოდებისას მეტოქის კართან თანაგუნდელთა დასახმარებლად ჩავიდა. ბარტეზმა რა ხეირი ნახა, ჰოდა, კუპესაც დამატებული დროის მეხუთე წუთზე ხერარდმა გამარჯვებისა შეუგდო.

მთლიანობაში „ლიონი" მთელი მატჩის განმავლობაში საკმაო უპირატესობას ფლობდა. საინტერესო ციფრებია: მასპინძლებმა 20-ჯერ ჩააწოდეს კუთხური, სტუმრებმა კი არც ერთხელ. არსებითი სხვაობაა სხვა დანარჩენ მაჩვენებლებშიც, თუმცა „ლიონი" მხოლოდ უეფას თასზე თამაშს უნდა დასჯერდეს.

**ფენერბაჰჩე 1:2 ლევერკუზენი**

0:1 შნაიდერი (21), 0:2 კირსტენი (34), 1:2 ოქთაი (40)
**ფენერბაჰჩე:** რუშთუ, მერიჩი, დოგანი, უილარი, რევივო, ბქდენიზი (რაპაიჩი 77), ლაზეტიჩი (მაქანი 65), შიმშექი (ოგიუნი 52), ჯონსონი, ოქთაი, გიუნეში
**მწვრთნელი:** მუსტაფა დენიზლი
**ლევერკუზენი:** ბუტი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 68), ბაშთურქი (ვრანიეში 90), ბალაკი, შნაიდერი, სებესკენი, ნოივილი (ოჯიგვე 83), რამელო
**მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი
**გაფრთხილება:** რევივო, შიმშექი, გიუნეში, რაპაიჩი, შნაიდერი
**მსაჯი:** ტრეიე ჰაუგი (ნორვეგია)

**„ფენერბაჰჩემ"** არავის აწყენინა, თუ „ლიონს" მივეცით ექვსი ქულა, ამათ რაღა დააშავესო. თურქული კლუბი ისევ რჩება ერთადერთ უქულო გუნდად ლიგაში. ასე ხომ ნებისმიერ ქართულ კლუბსაც შეუძლია ლიგაში თამაში. ვინც გულშემატკივართა ქება-დიდება დაიმსახურა, ეს მასპინძელთა მეკარე რუშთუ გახლდათ. მან 7-ჯერ იხსნა გუნდი გოლისგან და კიდევ ერთი დიდანგარიშიანი სამარცხვინო წაგებისგან.

სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, თანაც ცხრამეტწუთიან მონაკვეთში. ჯერ შნაიდერმა დააწინაურა სტუმრები, შემდეგ კი თავისი გაიტანა ულფ კირსტენმაც. მასპინძელთაგან ერთი საპასუხო ოქთაის ანგარიშზეა. ეს იყო „ფენერბაჰჩეს" მიერ ლიგაში გატანილი მესამე გოლი. ამ მაჩვენებლითაც ის ყველას ჩამორჩება. ხუთ შეხვედრაში დენიზლის გუნდმა ოდენ 12 კუთხური ჩააწოდა, კარის ჩარჩოში კი მხოლოდ 16-ჯერ წავიდა მათი დარტყმული ბურთი. „ბაიერთან" მატჩში მასპინძლები ბურთს 21 წუთის განმავლობაში ფლობდნენ.



ფენერბაჰჩე — ლევერკუზენი. სტუმართა ხორვატმა ბორის ჟივკოვიჩმა ბურთი ჩამუხლულმაც არ დათმო

REUTERS

ისევ „რეინჯერსი" მახსენდება და მიკვირს, როგორ მოახერხეს გლაზგოელებმა ამათთან წაგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 0 | 0 | 5 | 3:11 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. G ჯგუფი

# ნიჭი პენალტს არ ეყო


REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ოლიმპიაკოსი. რუუდ ვან ნისტელროოი: მაინც გავიტანე!

**მანჩესტერი 3:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 სოლსკიაერი (79), 2:0 გიგზი (88), 3:0 ვან ნისტელროოი (90)

**მანჩესტერი:** ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, ვერონი, ბლანი, ბექჰემი, ბატი (სოლსკიაერი 73), ვან ნისტელროოი, გიგზი, სქოულზი, ბრაუნი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი.

**ოლიმპიაკოსი:** ელეფთეროპულოსი, პაცაცოღლუ, ამანატიდისი, იანაკოპულოსი (რობერტი 83), კარამბუ, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი (მურსანიდისი 46), კუფუ, კონტისი, ალექსანდრისი (ალვეში 63), ანატოლაკისი

**მწვრთნელი:** პანაიოტის ლემონისი

**გაფრთხილება:** ჯორჯევიჩი, ანატოლაკისი, პაცაცოღლუ, კონტისი

**მსაჯი:** მელო პერეირა (პორტუგალია)

**„ოლიმპიაკოსთან"** მატჩის მერე სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, რუუდ ვან ნისტელროოი საუკეთესო ფორვარდია ევროპაშიო. აქ სერ ალექსი წამით ჩაფიქრებულა და დაუმატებია, თუ ჯერჯერობით საუკეთესო არ არის, სულ მალე უეჭველად გახდება, რაკი ღვთისგან ბოძებული ნიჭი აქვს და ამ მატჩში შეუდარებელი იყოო. მწვრთნელს რაიან გიგზმაც მხარი აუბა: „რუუდმა ბრწყინვალედ ითამაშა, პენალტის გაფუჭების მერე ყურები არ ჩამოუყრია, იბრძოლა და თავისი მაინც გაიტანა".

თუ მატჩი არ გინახავთ, რაიან გიგზისგან შეიტყობდით, რომ ჰოლანდიელმა პენალტი ვერ გაიტანა. 62-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ ბექემისგან კარგი პასი მიიღო და საჯარიმოში შეჭრილი მეკარე ელეფთეროპულოსმა წააქცია, თუმც პენალტი კი მოიგერია.

საზოგადოდ, „მანჩესტერი" მთელი მატჩი უტევდა, მაგრამ გოლები ბოლოსღა გაიტანა. ფერგიუსონის ნაქებმა ვან ნისტელროოიმ მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ორი ბერძენი მცველი თავისკენ გაიტყუა და ოლე გუნარ სოლსკიაერს კარგი პასი მისცა. ნორვეგიელმაც, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა, ანგარიში გახსნა. ჰო, აღვნიშნოთ, რომ სოლსკიაერი, რა თქმა უნდა, შეცვლაზე შევიდა.

ოქმში ჩავიხედოთ და ვნახავთ, რომ მეორე გოლი რაიან გიგზმა გაიტანა, ბოლო კი, წამატებულ დროში, თავში ნაქებმა ფეხბურთელმა შეაგდო.

ეგებ უცნაურიც იყოს, მაგრამ სამი გოლის გაშვების მიუხედავად, ელეფთეროპულოსმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაკი გოლები მისი მიზეზით არ გასულა და გუნდი რამდენჯერმე იხსნა.

კიდევ კარგი, ბერძნები იშვიათად უტევდნენ, თორემ მასპინძლები ერთი-ორ გოლს ვერსად გაექცეოდნენ — ფაბიენ ბარტეზი და მანჩესტერელი მცველები ტრადიციულად ვერ უგებდნენ ერთმანეთს.

„ჩემს ფეხბურთელებს ვერაფერში დავადანაშაულებ — თქვა ნამატჩევს „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა პანიოტის ლემონისმა — მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი იღონეს, მაგრამ „მანჩესტერი" დიდებული გუნდია და ბოლოსკენლა გაგვტეხა".

„ოლიმპიაკოსის" ძლევით „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

**დეპორტივო 1:1 ლილი**

1:0 დიეგო ტრისტანი (14პ), 1:1 ბრუნო შეირუ (20პ)

**დეპორტივო:** ნუნუ, ტრისტანი (პანდიანი 77), ამავისკა, ემერსონი (სერხიო 61), ვალერონი, სანჩესი, გამა, ვალერონი (ჯალმინია 70), ელდერი, დუშერი, ექტორი

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**ლილი:** უიმბე, ფაშბე, პასკალი (ზუკა 20), ციშო, სტოილკოვიჩი (კოლო 88), ეკერი, დელპიერი, ლანდრინი, ნდიაე (ბენუა შეირუ 81), დამიკო, ბრუნო შეირუ

**მწვრთნელი:** ვაჰიდ ჰილილჰოჯიჩი

**გაფრთხილება:** ემერსონი, ფაშბე, ციშო, ლანდრინი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

**ესპანეთისა** და საფრანგეთის ჩემპიონატთა ლიდერების მატჩში უდავო ფავორიტად მასპინძელი „დეპორტივო" ითვლებოდა და ამათი ფრე, ალბათ, სამშაბათის სალიგო მატჩების ყველაზე მოულოდნელი შედეგი გახლდათ. თუმც ისიც სათქმელია, რომ გალისიელებს ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გასაღწევად ერთი ქულა ჰყოფნიდათ (ბერძნული „ოლიმპიაკოსის" მანჩესტერში გამარჯვება ძნელად წარმოსადგენი იყო) და მიზანსაც მიაღწიეს. არაერთგზის თქმულა, რომ ამ ეტაპზე გუნდებს მეტი არც მოეთხოვებათ.

შეხვედრაში ორივე გოლი პენალტით გავიდა. მოვლენათა ეპიცენტრში, ანუ ფრანგთა საჯარიმო მოედანზე მყოფი დიეგო ტრისტანი, ვინც, გეხსომებათ, წინა კვირაში ორი მანჩესტერული გოლი მიითვალა, სტუმარმა მცველმა ჯონი ეკერმა წააქცია და თავად დაზარალებულმა ანგარიში გახსნა.

საპასუხო გოლამდე „ლილს" მხოლოდ ექვსი წუთი დასჭირდა ლოდინი. ლაკორუნიელთა საჯარიმოში სლოვაკმა არბიტრმა ლუბოშ მიხელმა ხელით თამაში შენიშნა და ბრუნო შეირუმ გაათანაბრა.

ანგარიში აღარც შეცვლილა, თუმც მომენტები ბლომად იყო. ჯერ კიდევ 0:0-ზე დიეგო ტრისტანი ლილელ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გრეგორი უიმბემ ბურთი ფეხებიდან ააცალა. უიმბეს მერეც მოუხდა ტრისტანისა და მისი თანაგუნდელების დარტყმების მოგერიება, ხოლო ვიქტორის გასროლილი ხარიხას მოხვდა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. H ჯგუფი

# რომანცევმა, რაც მოგვიგაო...

**ბაიერნი 3:1 ფეიენოორდი**

1:0 კუფური (12), 1:1 ელმანდერი (25), 2:1, 3:1 სანტა კრუზი (30, 90)

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლიზარაზუ (ტარნატი 46), კუფური, რ. კოვაჩი, პაულო სერჟიო (ციკლერი 69), პიზარო, ფინკი (ტიამი 83), სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, სანტა კრუზი

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**ფეიენოორდი:** ზოტებიერი, რზასა, ვან გასტელი (შმოლარეკი 80), ბოსველტი, ვან ვონდერენი, ონო, ელმანდერი, პაუვე ვან გობელი (გიანი 46), ემერტონი, კოლენი

**მწვრთნელი:** ბერტ ვან მარვიიკი

**მსაჯი:** კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

**სპარტაკი 2:2 სპარტა**

1:0 რობსონი (4), 1:1 პოლუბი (29), 2:1 ბესჩასტნიხი (34), 2:2 ბაბნიკი (90)

**სპარტაკი:** ლევიცკი, კოვტუნი, კებე, ანაკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ციმმერმანი (მიტრეკი 46), ბესჩასტნიხი, პარფიონოვი, რობსონი

**მწვრთნელი:** ოლეგ რომანცევი

**სპარტა:** ჩეხი, გრიგერა, ლაბანტი, პაშეკი, ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი (ბაბნიკი 73), სიონკო (სლონჩიკი 83), პუბშმანი, პოლუბი (ზელენკა 46), იაროშიკი

**მწვრთნელი:** იაროსლავ ჰრებიკი

**გაფრთხილება:** ანაკო

**მსაჯი:** გრემ ბარბერი (ინგლისი)

**გამარჯვების** მიუხედავად, რომელმაც „ბაიერნი" მეორე ეტაპზე გაიყვანა, მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი თავისი შეგირდების უკმაყოფილო დარჩა. „მეორე ტაიმში საკმარისად ვერ ვიაქტიურეთ. მართალია სატურნირო თვალსაზრისით ფრეც გვაწყობდა, მაგრამ შეგვეძლო გაგვერისკა" — თქვა ჰიცფელდმა. სხვათა შორის, ბავარიელთა დამრიგებელი მატჩამდე ამბობდა, „ფეიენოორდთან" ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ მხოლოდ მოსაგებად უნდა ვითამაშოთ, არ მინდა ბოლო ტურში „სპარტასთან" შედეგის გამო ვინერვიულოო.

თავიდან ჰიცფელდის სიტყვები გამართლდა. სტუმრებმა სერიოზულად შეუტიეს და კანს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა იაპონელი ონოს ხარიხასთან ჩაწოდებული ბურთი რომ გამოეგდო. მალევე მიუნხენელებს გაუმართლათ, ჰარგრივსის კუთხურს კუფურის თავური მოჰყვა, ბურთი მეტოქე მცველ ვან გობელს მუხლზე მოხვდა და კარში შევარდა. გაშვებულ გოლს როტერდამელები არ დაუბნევია და მალევე ელმანდერმა გაათანაბრა, მან სისწრაფეში აჯობა კუფურს და მახვილი კუთხიდან შეაგდო. თუმცა ხუთი წუთიც არ გასულიყო, როცა სანტა კრუზმა მასპინძლები ისევ დააწინაურა. ეს გოლი სამხრეთამერიკული გამოდგა — პერუელმა პიზარომ და ბრაზილიელმა პაულო სერჟიომ კლასიკური კომბინაცია გაითამაშეს, წერტილი კი დაშავებული ელბერის მაგიერ მოთამაშე პარაგვაელმა დასვა.

მეორე ტაიმი არც მიწისა იყო და არც ცისა. ეგ არის, „ბაიერნმა" რამდენჯერმე მაინც გაამწვავა თამაში და ბოლო წუთზე მესამეც გაიტანა, ისევ სანტა კრუზმა ივაჟკაცა: „მატჩამდე ელბერმა მითხრა, შანსი მოგეცა და უნდა გამოიყენოო. მგონი ასეც მოვიქეცი" — დასძინა პარაგვაელმა.



REUTERS მიუნხენიდან

ოტმარ ჰიცფელდს საქმე ჯერ სალიმილოდ აქვს

**„სპარტა"** დამსახურებულად გავიდა შემდგომ ეტაპზე, „სპარტაკმა" კი ქომაგებს იმედი გაუცრუა — აღიარა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოსკოველთა მწვრთნელ-პრეზიდენტმა ოლეგ რომანცევმა — ჯგუფში ჩავრჩით და ამაში თავად ვართ დამნაშავენი. ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი რუსი ფეხბურთელების მენტალიტეტია, როგორც კი გუნდური თამაში წაგვივა, ისინი იბნევიან და ინდივიდუალურად ცდილობენ საქმის კეთებას, საბოლოოდ კი რაც გამოდის თავად ხედავთ".

მოკლედ, პოსტსაბჭოური გადმონაშთები მაინც არსებობს. ქართველებისა არ იყოს, რუსებიც ხშირად ბოლო წუთებზე თუ წამებზე უშვებენ გადამწყვეტ ბურთებს და მერე ყველაფერს იღბალს ან ჟურნალისტებს აბრალებენ. არადა, შემთხვევით არაფერი ხდება და ყველაფერი მწვრთნელ-ფეხბურთელთა პროფესიონალიზმზე ჰკიდია. მსაჯის მიერ წამატებული მესამე წუთი იწურებოდა, როცა „სპარტამ" ბოლო ძალები მოიკრიბა და ჯიქურ შეუტია. მოსკოველთა საჯარიმოში პრაღელთა მეკარე ჩეხმაც კი მიირბინა. სწორედ მის თავურს მოჰყვა მეკარე ლევიცკის ბაქანზე არეულობა და ბაბნიკმა თავადვე გაათანაბრა. აბა, რომელ მსაჯის წამატებულ დროზეა ლაპარაკი, როცა ჩვენებსაც და რუსებსაც ჯერ პირველი გოლის ფაქტორი ვერ დაუძლევიათ...

ბაბნიკის გოლს სპარტელთა უსაზღვრო სიხარული დაერთო. რატომაც არა, ისინი ხომ კვლავ დაუმარცხებელნი არიან ლიგაში.

„თავიდან მეტოქე გვჯობდა. ჩემი ფეხბურთელები ორთაბრძოლებსაც აგებდნენ და ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ მოსკოველებს სისწრაფეშიც ჩამორჩებოდნენ. თანაც სველი მინდორი ორივე გუნდს უშლიდა. რაღაც უნდა გვეღონა და კმაყოფილი ვარ, რომ შეცვლებმა გაგვიმართლა. მათ თამაში გადაარჩინეს. მეკარისთვის კი მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩასვლა არავის უკარნახია, გონიერ მოთამაშეს ასეთ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება უნდა შეეძლოს. ჩეხმა გააკეთა ის, რასაც ბრძოლის ლოგიკა კარნახობდა" — თქვა პრაღელთა დამრიგებელმა იაროსლავ ჰრებიკმა და აღიარა, ჩვენთვის ჯგუფიდან გასვლა უკვე დიდი მიღწევააო.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:14 | 2 |
| ფეიენოორდი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:13 | 2 |


REUTERS მოსკოვიდან

სანამ პეტრ ჩეხი საჯარიმოში არ ჩავიდა, „სპარტას" არაფერი ეშველა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამგზ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

## გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27.10.01 | 18.30 | 001 | 0:1შალკე; ბაიერნი1:5; 2:2ჰანზა **მიუნხენი** V **ლევერკუზენი** შტუტგარტი4:1; 3:2კოტბუსი; ფრაიბურგი4:1 | 3,0 | 3,1 | 2,2 | | | | - | 0:0 1:0 | 1:1 1:2 | 1:1 0:2 |
| 27.10.01 | 18.30 | 002 | 1:4ლევერკუზენი; შალკე3:0; 0:4ბაიერნი **შტუტგარტი** V **ზტ. პაული** კოტბუსი4:0; 2:2ფრაიბურგი; დორტმუნდი1:2 | 1,5 | 3,4 | 6,5 | | | | - | - | - | - |
| 27.10.01 | 18.30 | 003 | 0:4ზტ. პაული; ლევერკუზენი2:3; 0:2შალკე **კოტბუსი** V **დორტმუნდი** ფრაიბურგი0:2; 2:1გლადბახი; 2:1ზტ. პაული | 3,0 | 3,1 | 2,2 | | | | - | 1:4 0:2 | - | - |
| 27.10.01 | 18.30 | 004 | 1:3ჰერტა; ნიურნბერგი3:0; გლადბახი1:0 **ვერდერი** V **ვოლფსბურგი** ჰამბურგი0:1; 4:0კიოლნი; ლაუტერნი2:0 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | 1:1 2:3 | 7:2 2:2 | 4:2 0:1 |
| 27.10.01 | 18.30 | 005 | 0:3ჰანზა; ვოლფსბურგი0:4; 0:3ჰერტა **კიოლნი** V **ბაიერნი** ლაუტერნი4:1; 5:1მიუნხენი; შტუტგარტი4:0 | 4,0 | 3,2 | 1,75 | | | | - | 1:2 1:1 | - | - |
| 27.10.01 | 18.30 | 006 | 1:4ბაიერნი; ჰანზა3:1; 0:2ვოლფსბურგი **ლაუტერნი** V **შალკე** მიუნხენი1:0; 0:3შტუტგარტი; კოტბუსი2:0 | 1,85 | 3,0 | 4,0 | | | | - | 3:2 1:5 | 2:1 2:1 | 4:1 2:0 |
| 27.10.01 | 18.30 | 007 | 2:1ნიურნბერგი; დორტმუნდი1:2; 0:1ვერდერი **გლადბახი** V **ფრაიბურგი** 2:0დორტმუნდი; ზტ. პაული2:2; 1:4ლევერკუზენი | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | - | - | - | 3:1 1:2 |
| 28.10.01 | 20.30 | 008 | გლადბახი1:2; 0:3ვერდერი; ჰამბურგი0:0 **ნიურნბერგი** V **ჰერტა** ვერდერი3:1; 0:4ჰამბურგი; კიოლნი3:0 | 2,6 | 3,1 | 2,4 | | | | - | - | - | 0:3 0:0 |
| 28.10.01 | 20.30 | 009 | 1:0ვოლფსბურგი; ჰერტა4:0; 0:0ნიურნბერგი **ჰამბურგი** V **ჰანზა** კიოლნი3:0; 1:3ლაუტერნი; მიუნხენი2:2 | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | - | 0:1 2:1 | 3:3 1:0 | 1:0 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი მიუნხენი (1) | | 03.02 | 4:1 | 10.02 | 3:0 | 4:0 | 07.04 | 21.04 | 04.11 | 19.12 | 1:0 | 24.02 | 10.03 | 09.12 | 04.05 | 24.03 | 2:0 | 25.11 | 10 | 8 | 1 | 1 | 25:4 | 25 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 15 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| 2 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | 1:1 | | 04.11 | 24.02 | 06.02 | 4:1 | 21.04 | 04.05 | 25.11 | 10.02 | 4:1 | 10.03 | 24.03 | 2:1 | 27.01 | 07.04 | 3:1 | 09.12 | 10 | 7 | 3 | 0 | 25:11 | 24 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 11 |
| 3 | კაიზერსლაუტერნი (8) | 17.03 | 31.03 | | 14.04 | : | 16.12 | 2:1 | 4:1 | 06.02 | 3:2 | 02.12 | 27.04 | 19.12 | 03.03 | 3:1 | 2:1 | 18.11 | 17.02 | 10 | 8 | 0 | 2 | 24:14 | 24 | 5 | 0 | 0 | 14:6 | 15 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 0:2 | 1:1 | 25.11 | | 17.02 | 04.11 | 04.05 | 27.01 | 09.12 | 10.03 | 0:2 | 24.03 | 07.04 | 4:0 | 06.02 | 21.04 | 03.03 | 2:0 | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 19 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| 5 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 27.01 | 3:3 | 24.03 | 1:0 | | 10.03 | 25.11 | 09.12 | 07.04 | 03.02 | 24.02 | 2:0 | 1:0 | 04.05 | 3:1 | 04.11 | 10.02 | 21.04 | 10 | 5 | 2 | 3 | 12:12 | 17 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 | 1 | 1 | 3 | 2:8 | 4 |
| 6 | შტუტგარტი (15) | 03.03 | 17.03 | 04.05 | 31.03 | 3:0 | | 0:0 | 0:0 | 27.01 | 02.12 | 18.11 | 14.04 | 09.12 | 17.02 | 2:1 | 0:0 | : | 06.02 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:13 | 15 | 2 | 3 | 0 | 5:1 | 9 | 2 | 0 | 3 | 7:12 | 6 |
| 7 | ვერდერი ბრემენი (7) | 18.11 | 02.12 | 10.02 | 16.12 | 14.04 | 03.02 | | 17.03 | 24.02 | 1:0 | 19.12 | 3:2 | 1:3 | : | 31.03 | 1:1 | 27.04 | 3:0 | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| 8 | ჰერტა ბერლინი (5) | 02.12 | 16.12 | 24.02 | 0:2 | 27.04 | 10.02 | 3:1 | | 10.03 | 04.11 | 03.02 | 2:3 | 2:1 | 18.11 | 14.04 | 3:0 | 19.12 | 24.03 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | 14 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| 9 | ჰამბურგი (13) | 31.03 | 14.04 | 2:3 | 27.04 | 18.11 | 2:0 | 0:4 | 4:0 | | 3:3 | 16.12 | 19.12 | 03.02 | 17.03 | : | 10.02 | 02.12 | 03.03 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 12 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 7 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| 10 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 1:0 | 0:1 | 27.01 | 1:2 | 0:0 | 21.04 | 03.03 | 31.03 | 17.02 | | : | 18.11 | 04.05 | 14.04 | 09.12 | 06.02 | 2:2 | 17.03 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| 11 | ფრაიბურგი (6) | 17.02 | 03.03 | 21.04 | 17.03 | 2:0 | 07.04 | 3:0 | 1:3 | 04.05 | 24.03 | | 04.11 | 25.11 | 06.02 | 1:1 | 09.12 | 2:2 | 27.01 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | 12 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| 12 | ენერგი კოტბუსი (14) | 0:3 | 2:3 | 09.12 | : | 03.03 | 25.11 | 27.01 | 06.02 | 1:0 | 07.04 | 31.03 | | 21.04 | 3:3 | 17.02 | 04.05 | 17.03 | 1:0 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | 11 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| 13 | მიუნხენი 1860 (11) | 1:5 | : | 0:4 | 18.11 | 17.03 | 27.04 | 06.02 | 17.02 | 1:1 | 16.12 | 14.04 | 02.12 | | 2:1 | 03.03 | 27.01 | 31.03 | 1:0 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:19 | 11 | 2 | 1 | 2 | 5:11 | 7 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| 14 | ვოლფსბურგი (9) | 27.04 | 19.12 | 2:0 | 03.02 | 16.12 | 0:2 | 24.03 | 07.04 | 0:1 | 25.11 | 1:1 | 10.02 | 24.02 | | 21.04 | 10.03 | 1:1 | 04.11 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:16 | 9 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | 4 |
| 15 | ჰანზა როსტოკი (12) | 16.12 | 0:3 | 10.03 | 0:2 | 19.12 | 24.02 | 04.11 | 25.11 | 24.03 | 27.04 | 10.02 | 0:0 | 2:2 | 02.12 | | 3:0 | 03.02 | 07.04 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | 9 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 16 | კიოლნი (10) | : | 18.11 | 03.02 | 02.12 | 31.03 | 19.12 | 17.02 | 03.03 | 2:1 | 0:2 | 27.04 | 16.12 | 2:0 | 0:4 | 17.03 | | 14.04 | 1:2 | 10 | 2 | 2 | 6 | 7:18 | 8 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |
| 17 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | 06.02 | 17.02 | 07.04 | 1:2 | 0:2 | 24.03 | 09.12 | 0:0 | 21.04 | 24.02 | 10.03 | 4:0 | 04.11 | 27.01 | 0:1 | 25.11 | | 04.05 | 10 | 1 | 4 | 5 | 11:15 | 7 | 1 | 1 | 3 | 5:5 | 4 | 0 | 3 | 2 | 6:10 | 3 |
| 18 | ნიურნბერგი (დ) | 14.04 | 27.04 | 0:2 | 19.12 | 02.12 | 2:4 | 10.03 | : | 0:0 | 1:2 | 2:0 | 03.02 | 10.02 | 31.03 | 18.11 | 24.02 | 16.12 | | 10 | 2 | 1 | 7 | 7:16 | 7 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |

## გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. XI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26.10.01 | 22.00 | 010 | 2:2აინტრახტი; ზაარბრიუკენი0:0; 0:1შვაინფურტი **ალემანია** V **არმინია** უნიონი4:1; 1:0ფიურტი; დუისბურგი2:2 | 2,6 | 3,1 | 2,4 | | | | : | 1:1 1:0 | - | - |
| 26.10.01 | 22.00 | 011 | 1:4არმინია; აინტრახტი0:4; 3:2ზაარბრიუკენი **უნიონი** V **დუისბურგი** ფიურტი1:1; 0:2კარლსრუე; 2:2არმინია | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | : | - | - | - |
| 26.10.01 | 22.00 | 012 | 4:2ვალდჰოფი; როიტლინგენი2:1; 1:0ბაბელსბერგი **მაინცი** V **შვაინფურტი** ბოხუმი3:3; 0:1უნტერჰახინგი; ალემანია1:0 | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | : | - | - | - |
| 27.10.01 | 18.00 | 013 | 2:0ბაბელსბერგი; ალენი2:3; კარლსრუე1:2 **ობერჰაუზენი** V **როიტლინგენი** ჰანოვერი2:2; 1:2მაინცი; ბოხუმი3:0 | 2,2 | 3,2 | 2,9 | | | | : | 2:0 1:1 | - | - |
| 27.10.01 | 18.00 | 014 | 1:4ალენი; დუისბურგი2:0; 2:1ობერჰაუზენი **კარლსრუე** V **ფიურტი** 1:1დუისბურგი; არმინია0:1; 4:1აინტრახტი | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | : | - | 0:1 0:2 | 1:0 2:1 |
| 28.10.01 | 18.00 | 015 | 0:0ზაარბრიუკენი; შვაინფურტი1:0; 1:0ვალდჰოფი **უნტერჰახინგი** V **აინტრახტი** ალემანია2:2; 4:0უნიონი; ფიურტი1:4 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | - | - | - |
| 28.10.01 | 18.00 | 016 | კარლსრუე4:1; 3:2ობერჰაუზენი; ჰანოვერი2:5 **ალენი** V **ბაბელსბერგი** ობერჰაუზენი0:2; 1:6ჰანოვერი; მაინცი0:1 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | - | - | - |
| 28.10.01 | 18.00 | 017 | 3:3შვაინფურტი; ვალდჰოფი1:1; 0:3როიტლინგენი **ბოხუმი** V **ზაარბრიუკენი** უნტერჰახინგი0:0; 0:0ალემანია; უნიონი2:3 | 1,5 | 3,4 | 6,5 | | | | - | - | - | - |
| 29.10.01 | 23.15 | 018 | 2:2როიტლინგენი; ბაბელსბერგი6:1; 5:2ალენი **ჰანოვერი** V **ვალდჰოფი** მაინცი2:4; 1:1ბოხუმი; უნტერჰახინგი0:1 | 1,5 | 3,4 | 6,5 | | | | - | 3:0 1:2 | 2:2 2:2 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაინცი (14) | | 2:2 | | | 19.11 | 5:1 | 16.12 | 2:0 | | 1:0 | : | | | | 2:1 | | 02.12 | | 10 | 8 | 1 | 1 | 23:9 | 25 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| 2 | ჰანოვერი (9) | | | 02.12 | 16.12 | | | | | 2:0 | 5:0 | | 6:1 | : | 3:0 | | 2:0 | | 19.11 | 10 | 6 | 4 | 0 | 29:9 | 22 | 5 | 0 | 0 | 18:1 | 15 | 1 | 4 | 0 | 11:8 | 7 |
| 3 | არმინია ბილეფელდი (13) | 26.11 | | | | | | 4:1 | 05.11 | | | | 0:1 | 5:0 | | | 10.12 | 2:2 | 3:1 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:8 | 22 | 3 | 1 | 1 | 14:5 | 10 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| 4 | გროითერ ფიურტი (5) | 10.12 | | 0:1 | | | | 05.11 | 26.11 | | | | 1:0 | 3:1 | | | 2:2 | | 3:1 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| 5 | აინტრახტი მაინის ფრანკფურტი (დ) | | 26.11 | 0:2 | 1:4 | | 10.12 | | | 05.11 | | 2:0 | | | 2:2 | 3:1 | | | | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 18 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| 6 | ალენი (6) | | 2:5 | 16.12 | 1:0 | | | | | 2:5 | 4:1 | | : | 19.11 | 1:0 | | | | 02.12 | 10 | 6 | 0 | 4 | 21:26 | 18 | 3 | 0 | 2 | 10:11 | 9 | 3 | 0 | 2 | 11:15 | 9 |
| 7 | უნიონი ბერლინი (დ) | | 1:1 | | | 0:4 | 5:0 | | | 10.12 | | 3:0 | | | 26.11 | 5:0 | | : | | 10 | 5 | 2 | 3 | 24:15 | 17 | 3 | 1 | 1 | 14:5 | 10 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| 8 | უნტერჰახინგი (დ) | | 1:1 | | | : | 2:3 | 02.12 | | 0:2 | 16.12 | 1:0 | | | | 3:2 | | 19.11 | | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| 9 | ბოხუმი (დ) | 2:1 | | 19.11 | 02.12 | | | | | | 1:1 | | 4:1 | 1:1 | 16.12 | | 3:3 | | : | 10 | 4 | 4 | 2 | 21:17 | 16 | 2 | 3 | 0 | 11:7 | 9 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| 10 | კარლსრუე (დ) | | | 0:1 | : | 2:3 | | 19.11 | | | | 1:0 | | 10.12 | | | | 2:0 | 2:0 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:16 | 13 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| 11 | შვაინფურტი (დ) | | 05.11 | 1:0 | 0:0 | | 26.11 | | | 3:3 | | | | | 1:0 | 10.12 | | | 2:1 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | 12 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 | 0 | 1 | 4 | 0:7 | 1 |
| 12 | ბაბელსბერგი (დ) | 0:1 | | | | 16.12 | | 3:2 | 1:4 | | 05.11 | 02.12 | | | | 19.11 | 0:2 | 3:1 | | 10 | 3 | 1 | 6 | 12:23 | 10 | 2 | 0 | 3 | 7:10 | 6 | 1 | 1 | 3 | 5:13 | 4 |
| 13 | ვალდჰოფი მანჰაიმი (4) | 2:4 | | | | 0:0 | | 1:1 | 0:1 | | | 16.12 | 26.11 | | | 02.12 | 05.11 | 3:1 | | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | 9 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| 14 | ალემანია აახენი (10) | 0:2 | | : | 19.11 | | | | 10.12 | | 02.12 | | 2:2 | 1:0 | | | 2:1 | | 0:0 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:15 | 9 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |
| 15 | როიტლინგენი (7) | | 2:2 | 2:3 | 0:1 | | 05.11 | | | 3:0 | 26.11 | | | | 3:1 | | | | 16.12 | 10 | 2 | 2 | 6 | 17:23 | 8 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 | 0 | 1 | 4 | 7:16 | 1 |
| 16 | როტ ვაისი ობერჰაუზენი (12) | 1:3 | | | | 02.12 | 2:3 | 0:3 | 0:2 | | 1:2 | 19.11 | | | | : | | 16.12 | | 10 | 1 | 2 | 7 | 12:22 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:13 | 0 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| 17 | დუისბურგი (11) | | 10.12 | | 1:1 | 1:1 | 1:4 | | | 26.11 | | 0:0 | | | 05.11 | 3:3 | | | | 10 | 0 | 5 | 5 | 10:20 | 5 | 0 | 4 | 1 | 6:9 | 4 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |
| 18 | ზაარბრიუკენი (8) | 05.11 | | | | 0:2 | | 2:3 | 0:0 | | | | 10.12 | 1:3 | | | 26.11 | 1:0 | | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## საფრანგეთი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26.10.01 | 23.45 | 125 | 2:2ნანტი; ტრუა1:3; 1:1ლანსი **ოსერი** V **მარსელი** ლილი0:0; 2:0მეცი; 0:1გენგამი | 1,7 | 3,0 | 5,0 | | | | | 0:1 1:0 | 1:0 2:2 | 1:1 0:1 |
| 27.10.01 | 20.15 | 126 | 2:1ბასტია; გენგამი2:1; 0:4ლიონი **რენი** V **ლანსი** მონპელიე2:0; 3:2ლორიანი; ოსერი1:1 | 2,6 | 2,8 | 2,6 | | | | - | 1:0 2:1 | 1:1 3:0 | 1:3 2:0 |
| 27.10.01 | 23.00 | 127 | მეცი1:0; 0:0მონპელიე; პსჟ1:0 **ბორდო** V **სედანი** პსჟ1:2; 0:2მონაკო; ლილი1:1 | 1,55 | 3,2 | 6,5 | | | | - | 0:0 2:2 | 1:1 1:0 | - |
| 27.10.01 | 23.00 | 128 | 0:0მარსელი; ნანტი1:0; 1:1სედანი **ლილი** V **მეცი** 0:1ბორდო; მარსელი0:2; 0:0ნანტი | 1,5 | 3,3 | 7,0 | | | | | [illegible] | | |
| 27.10.01 | 23.00 | 129 | 2:4ტრუა; ლანსი2:3; 3:1მონპელიე **ლორიანი** V **გენგამი** მონაკო2:1; 1:2რენი; მარსელი1:0 | 2,1 | 2,8 | 3,5 | | | | | | | |
| 27.10.01 | 23.00 | 130 | 1:2გენგამი; სედანი2:0; 0:1ბასტია **მონაკო** V **ლიონი** სოშო1:1; 2:2პსჟ; რენი4:0 | 2,5 | 2,8 | 2,7 | | | | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 27.10.01 | 23.00 | 131 | 0:2ლანსი; ბორდო0:0; ლორიანი1:3 **მონპელიე** V **ტრუა** ლორიანი4:2; 3:1ოსერი; სოშო2:2 | 2,4 | 2,7 | 3,0 | | | | - | - | 1:2 2:2 | - |
| 27.10.01 | 23.00 | 132 | 2:1სედანი; ლიონი2:2; 0:1ბორდო **პსჟ** V **ბასტია** რენი1:2; 1:4სოშო; მონაკო1:0 | 1,6 | 3,1 | 6,0 | | | | - | 3:1 1:1 | 2:0 2:1 | 2:0 0:2 |
| 27.10.01 | 23.00 | 133 | 1:1ლიონი; ბასტია4:1; 2:2ტრუა **სოშო** V **ნანტი** ოსერი2:2; 0:1ლილი; მეცი0:0 | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | - | - | - | 0:2 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რასინგი ლანსი (14) | | 1:1 | 2:0 | 1:1 | 3:0 | 06.04 | 03.11 | 26.01 | 27.04 | 06.03 | 28.11 | 02.02 | 16.02 | 2:0 | 05.01 | 2:0 | 17.11 | 19.12 | 11 | 7 | 3 | 1 | 19:10 | 24 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 | 3 | 1 | 1 | 8:8 | 10 |
| 2 | ოლიმპიკ სპორტინგ მეტროპოლი ლილი (3) | 12.01 | | 16.03 | 23.03 | 08.12 | 30.01 | 22.12 | 04.05 | 1:0 | 24.11 | 2:1 | 13.04 | 3:1 | 23.02 | 27.10 | 2:1 | 06.02 | 1:0 | 11 | 6 | 5 | 0 | 12:5 | 23 | 5 | 0 | 0 | 9:3 | 15 | 1 | 5 | 0 | 3:2 | 8 |
| 3 | ოლიმპიკი ლიონი (2) | 04.05 | 03.11 | | 24.11 | 1:1 | 12.01 | 08.12 | 16.02 | 3:0 | 4:0 | 22.12 | 06.03 | 23.03 | 26.01 | 02.02 | 13.04 | 2:0 | 4:1 | 11 | 6 | 3 | 2 | 20:9 | 21 | 4 | 1 | 0 | 14:2 | 13 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| 4 | ჟენესი ოსერი (13) | 06.02 | 17.11 | 06.04 | | 13.04 | 1:3 | 12.01 | 1:1 | 2:2 | 04.05 | 30.01 | 08.12 | 22.12 | : | 16.03 | 1:0 | 2:1 | 23.02 | 11 | 5 | 5 | 1 | 18:11 | 20 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 12 |
| 5 | სოშო (ლ) | 30.01 | 27.04 | 23.02 | 28.11 | | 06.02 | 2:0 | 22.12 | 16.03 | 4:3 | 4:1 | 04.05 | 2:2 | 06.04 | 17.11 | 12.01 | 3:0 | 27.10 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:13 | 19 | 4 | 1 | 0 | 15:6 | 13 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| 6 | ესპერანს სპორტივი ტრუა (7) | 24.11 | 0:1 | 0:2 | 16.02 | 2:2 | | 23.03 | 03.11 | 3:0 | 02.02 | 27.04 | 26.01 | 4:2 | 05.01 | 19.12 | 06.03 | 28.11 | 0:0 | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| 7 | ჟირონდა ბორდო (4) | 16.03 | 0:0 | 27.04 | 1:1 | 26.01 | 17.11 | | 1:0 | 28.11 | 05.01 | 06.04 | 0:0 | 02.02 | 19.12 | 1:0 | 16.02 | 27.10 | 2:0 | 11 | 4 | 5 | 2 | 7:4 | 17 | 3 | 3 | 0 | 5:1 | 12 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| 8 | პარი სენ ჟერმენი პარიზი (9) | 2:2 | 0:0 | 2:2 | 19.12 | 1:0 | 16.03 | 06.02 | | 17.11 | 3:0 | 27.10 | 05.01 | 30.01 | 28.11 | 27.04 | 0:0 | 23.02 | 06.04 | 11 | 3 | 7 | 1 | 14:10 | 16 | 2 | 4 | 0 | 8:4 | 10 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| 9 | ან ავან გენგამი (10) | 08.12 | 26.01 | 05.01 | 02.02 | 03.11 | 04.05 | 13.04 | 23.03 | | 16.02 | 1:0 | 2:1 | 06.03 | 1:0 | 0:2 | 24.11 | 22.12 | 1:0 | 11 | 4 | 2 | 5 | 9:15 | 14 | 4 | 0 | 1 | 5:3 | 12 | 0 | 2 | 4 | 4:12 | 2 |
| 10 | სტად რენი (6) | 27.10 | 06.04 | 06.02 | 0:5 | 19.12 | 0:1 | 1:0 | 12.01 | 2:1 | | 23.02 | 3:0 | 1:1 | 16.03 | 28.11 | 30.01 | 27.04 | 17.11 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:20 | 14 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| 11 | სპორტინგი ბასტია (8) | 13.04 | 02.02 | 1:2 | 0:1 | 16.02 | 08.12 | 24.11 | 06.03 | 19.12 | 1:2 | | 1:0 | 03.11 | 1:0 | 26.01 | 23.03 | 1:1 | 05.01 | 11 | 4 | 1 | 6 | 10:14 | 13 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 |
| 12 | მონაკო (11) | 3:0 | 28.11 | 27.10 | 27.04 | 0:1 | 2:0 | 30.01 | 2:2 | 23.02 | 22.12 | 06.02 | | 12.01 | 17.11 | 06.04 | 0:0 | 2:0 | 16.03 | 11 | 3 | 3 | 5 | 10:11 | 12 | 3 | 2 | 1 | 9:3 | 11 | 0 | 1 | 4 | 1:8 | 1 |
| 13 | ლორიანი (ლ) | 2:3 | 19.12 | 17.11 | 0:1 | 05.01 | 23.02 | 0:2 | 1:1 | 27.10 | 26.01 | 16.03 | 2:0 | | 27.04 | 1:0 | 06.02 | 06.04 | 28.11 | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | 12 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 | 1 | 2 | 2 | 9:11 | 5 |
| 14 | ოლიმპიკი მარსელი (15) | 22.12 | 0:0 | 0:0 | 06.03 | 24.11 | 0:1 | 0:0 | 13.04 | 06.02 | 03.11 | 12.01 | 23.03 | 08.12 | | 16.02 | 04.05 | 30.01 | 2:0 | 11 | 2 | 5 | 4 | 6:7 | 11 | 1 | 3 | 1 | 2:1 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 5 |
| 15 | მეცი (12) | 0:1 | 06.03 | 2:0 | 03.11 | 23.03 | 2:1 | 23.02 | 08.12 | 30.01 | 13.04 | 0:1 | 24.11 | 04.05 | 0:2 | | 22.12 | 12.01 | 06.02 | 11 | 3 | 1 | 7 | 6:12 | 10 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| 16 | მონპელიე (ლ) | 23.02 | 05.01 | 28.11 | 26.01 | 0:0 | 27.10 | 0:0 | 02.02 | 06.04 | 0:0 | 17.11 | 19.12 | 1:3 | 1:1 | 3:0 | | 16.03 | 27.04 | 11 | 1 | 6 | 4 | 6:9 | 9 | 1 | 4 | 1 | 5:4 | 7 | 0 | 2 | 3 | 1:5 | 2 |
| 17 | სედანი არდენი (5) | 23.03 | 1:1 | 19.12 | 05.01 | 02.02 | 13.04 | 06.03 | 1:2 | 1:1 | 08.12 | 04.05 | 16.02 | 24.11 | 1:1 | 2:0 | 03.11 | | 26.01 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | 8 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |
| 18 | ნანტი (1) | 1:2 | 16.02 | 30.01 | 2:2 | 06.03 | 22.12 | 04.05 | 24.11 | 12.01 | 23.03 | 1:2 | 03.11 | 13.04 | 02.02 | 0:0 | 08.12 | 1:1 | | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | 4 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 | 0 | 1 | 5 | 1:10 | 1 |

## საფრანგეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. XIV ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26.10.01 | 23.00 | 135 | 0:1ბოვე; ისტრი0:5; 1:4ნიცა **გრენობლი** V **ნიმი** კაენი2:2; 0:0შატორუ; ნანსი2:2 | 2,0 | 2,8 | 3,8 | | | | : | - | - | - |
| 27.10.01 | 23.00 | 136 | 1:3ნიცა; გენიონი1:1; 1:0მარტიგი **აიაჩო** V **სტრასბური** ლე მანი2:0; 0:0კრეტეი; კაენი3:1 | 2,5 | 2,7 | 2,8 | | | | - | - | - | - |
| 27.10.01 | 23.00 | 137 | 1:2ლე ავრი; მარტიგი4:0; 1:2გენიონი **ამიენი** V **ლავალი** სენტ ეტიენი1:1; 2:0ვასკალი; კრეტეი2:1 | 2,0 | 2,7 | 4,0 | | | | - | - | 1:1 0:1 | 0:1 1:1 |
| 27.10.01 | 23.00 | 138 | 0:2ნანსი; ნიმი0:0; 2:1ნიორი **შატორუ** V **ბოვე** გრენობლი1:0; 2:2ნანსი; სენტ ეტიენი3:0 | 2,5 | 2,6 | 2,9 | | | | - | 1:2 3:0 | - | 2:2 1:1 |
| 27.10.01 | 23.00 | 139 | 0:2სტრასბური; ნიცა1:0; 1:0ისტრი **ლე მანი** V **ნიორი** კრეტეი1:1; 1:2კაენი; შატორუ1:2 | 2,0 | 2,8 | 3,8 | | | | - | 0:2 2:1 | 2:2 3:4 | 0:0 0:0 |
| 27.10.01 | 23.00 | 140 | 1:1ლავალი; ლე ავრი0:1; 0:3ბოვე **სენტ ეტიენი** V **მარტიგი** გენიონი2:0; 0:4ამიენი; აიაჩო0:1 | 1,85 | 2,8 | 4,4 | | | | - | - | - | - |
| 27.10.01 | 23.00 | 141 | 0:2მარტიგი; 1:1აიაჩო; ამიენი2:1 **გენიონი** V **ლე ავრი** ამიენი2:1; 1:0სენტ ეტიენი; ვასკალი1:0 | 2,3 | 2,7 | 3,2 | | | | - | 3:1 1:2 | - | - |
| 27.10.01 | 23.00 | 142 | 1:1ნიორი; სტრასბური0:0; 1:2ლავალი **კრეტეი** V **ისტრი** ვასკალი2:1; 5:0გრენობლი; ლე მანი0:1 | 2,1 | 2,8 | 3,5 | | | | - | - | - | - |
| 28.10.01 | 20.45 | 143 | 2:2ნიმი; ნიორი2:1; 1:3სტრასბური **კაენი** V **ნანსი** შატორუ2:0; ბოვე2:2; 2:2ნიმი | 1,95 | 2,7 | 4,2 | | | | - | 0:3 0:4 | - | - |
| 28.10.01 | 21.00 | 144 | 1:2ისტრი; ლავალი0:2; 0:1ლე ავრი **ვასკალი** V **ნიცა** აიაჩო3:1; 0:1ლე მანი; გრენობლი4:1 | 2,4 | 2,7 | 3,0 | | | | - | 2:1 0:1 | 2:2 1:1 | 2:0 2:2 |

გუშინწინ კი ამ ცხრას კიდევ ორნი შეემატნენ — ჰარალდ ჩერნი და მარკუს ვაისენბერგერი. ავსტრიის ნაკრების პრესმდივანმა ამათზე თქვა, შიში არაფერ შუაშია, ჩერნი ოჯახური პრობლემების გამო დაგვეთხოვა, ხოლო ვაისენბერგერს ვირუსი შეეყარაო. თუმცა ავსტრიული გაზეთები წერენ, ამ ორს, დანარჩენი ცხრის მსგავსად, ტერორისტთა შიში აქვთო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| **ავსტრია** | 7 | 4 | 2 | 1 | 9:7 | 14 |
| **ისრაელი** | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| **ბოსნია** | 8 | 2 | 2 | 4 | 12:12 | 8 |
| **ლიხტენშტაინი** | 8 | 0 | 0 | 8 | 0:23 | 0 |

# ინგლისი
## I დივიზიონი. XV ტური

**ბირმინგემი 2:1 ჯილინგემი**
1:0, 2:0 ჰორსფილდი (35, 46), 2:1 იბუა (52)

**ბარნლი 1:0 კრისტალ პალასი**
1:0 კუკი (17)

**მანჩესტერ სიტი 4:0 გრიმსბი**
1:0 გოტერი (2), 2:0 ჰაუი (20), 3:0, 4:0 ჰაკერბი (24, 64)

**მილუოლი 3:1 ბრედფორდი**
1:0 სადლიე (33), 2:0 ჩეპილი (60), 2:1 ლოკი (69), 3:1 ჩეპილი (86)

**ნორვიჩი 0:0 პორტსმუთი**

**პრესტონი 3:0 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 მაკენი (7), 2:0 ჰეილი (30), 3:0 გალაჰერი (87)

**უოლსოლი 3:2 როტერჰემი**
1:0, 2:0 მატიასი (4, 30), 3:0 ვროკი (36), 3:1 სკოტი (89), 3:2 მონკჰაუზი (90)

**უოტფორდი 1:2 ნოტინგემი**
1:0 ნოელ-უილიამსი (53), 1:1 ჯონსონი (60), 1:2 ჯონი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი | 13 | 9 | 0 | 4 | 32:17 | 27 |
| ვულვზი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 27 |
| ბარნლი | 14 | 8 | 2 | 4 | 31:22 | 26 |
| ნორვიჩი | 14 | 8 | 2 | 4 | 17:15 | 26 |
| ბირმინგემი | 14 | 7 | 3 | 4 | 25:17 | 24 |
| ქოვენთრი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:9 | 24 |
| სიტი | 14 | 7 | 2 | 5 | 34:24 | 23 |
| ნოტინგემი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 23 |
| პორტსმუთი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:18 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 1 | 5 | 16:12 | 22 |
| პრესტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:18 | 22 |
| მილუოლი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:16 | 21 |
| უიმბლდონი | 13 | 5 | 4 | 4 | 24:20 | 19 |
| უოტფორდი | 13 | 5 | 2 | 6 | 21:20 | 17 |
| ბრედფორდი | 14 | 5 | 2 | 7 | 23:27 | 17 |
| ქრიუ | 13 | 5 | 2 | 6 | 12:20 | 17 |
| შეფილდი | 15 | 3 | 7 | 5 | 14:19 | 16 |
| გრიმსბი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:31 | 15 |
| როტერჰემი | 15 | 3 | 5 | 7 | 16:24 | 14 |
| ჯილინგემი | 13 | 4 | 1 | 8 | 19:22 | 13 |
| უოლსოლი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | 12 |
| უენსდი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:26 | 11 |
| ბარნსლი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:27 | 10 |
| სტოკპორტი | 13 | 1 | 4 | 8 | 18:27 | 7 |

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელი** მცველი ნელსონ ვივასი მილანის „ინტერს“ ერთი თვით გამოაკლდება. მან წინა უქმეებზე „მილანის“ წინააღმდეგ შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო. ექიმები შიშობენ, რომ ფეხბურთელს შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს. ტრავმირებული ვივასი არგენტინის ნაკრების ბოლო ორ შესარჩევ მატჩსაც გააცდენს. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი „ინტერში“ ჩარიცხვამდე ლონდონის „არსენალის“ ღირსებას იცავდა.

**ბოსნიის ნაკრების ნახევარმცველმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2005 წლამდე გაახანგრძლივა. ფეხბურთელს მიმდინარე შეთანხმება სეზონის ბოლოს უსრულდებოდა და სააგენტოების ცნობით, მასთან რამდენიმე კლუბმაც წამოიწყო მოლაპარაკება. მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა: „ჰასანი ახლა ძალიან ძლიერად ათამაშდა. „ბაიერნში“ მოსვლის შემდეგ მას ასეთი კარგი სეზონი არ ჰქონია. მოხარული ვარ, რომ კვლავ ჩვენთან რჩება“.**

**პოლონელი** მეკარე ადამ მატიშეკი სამშობლოში დაბრუნდა და „ზაგლებესთან“ მცირეხნიანი კონტრაქტი გააფორმა. 33 წლის გოლკიპერი ნოემბრის ბოლომდე პოლონეთში დარჩება, შემდეგ კი, ალბათ, კვლავ დაუბრუნდება „ლევერკუზენს“, რომლის ძირითად შემადგენლობაშიც ბოლოს იშვიათად ხვდებოდა. მატიშეკის შეძენის სურვილს ცოტა ხნის წინ „ვოლფსბურგიც“ გამოთქვამდა, თუმცა შეთანხმება ჩაიშალა.

**შოტლანდიური „დანდი“ უახლოეს მომავალში, ალბათ, „ვიჩენცას“ ვეტერან მცველ მასიმო ბეგეტოსთან გააფორმებს კონტრაქტს. იგი ბოლო რამდენიმე დღეა, ბრიტანულ კლუბში შემოწმებას გადის და მწვრთნელ ივანო ბონეტის მოწონებაც დაიმსახურა. „მასიმო ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს მნიშვნელოვნად გააძლიერებს“ — თქვა მწვრთნელმა. ბეგეტომ კარიერა 80-იანი წლების ბოლოს „კიევოში“ დაიწყო. შემდეგ „პერუჯაში“ გადაბარგდა, სადაც ექვსი სეზონი გაატარა, მოგვიანებით კი „ვიჩენცაში“ ჩაირიცხა.**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სერია A-ს ბოლო, მერვე ტურის შემდეგ ოთხ ფეხბურთელს მიუსაჯა დისკვალიფიკაცია. „ფიორენტინას“ ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო ორ მატჩს გამოტოვებს. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ატალანტელ პინარდის, პიაჩენცელ მატუზალემს და ვოლპის ელით. კომიტეტმა „ვერონა“ 18 ათასი დოლარით დააჯარიმა კლუბის ფანების უმსგავსო საქციელის გამო. ამავე მიზეზით ფინანსური სასჯელი ელით „ლაციოს“, რომასა“ და „ლეჩეს“.

**სლოვენიელმა მცველმა ალექსანდრ კნავსმა მუხლის ტრავმა მიიღო და „კაიზერსლაუტერნის“ ექიმების განცხადებით, წლის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. 25 წლის ფეხბურთელი, ბუნებრივია, ვერც ნაკრებში ითამაშებს, როცა მისი თანამემამულეები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში რუმინეთს შეხვდებიან.**

**პოლონელი** იგორ სიპნიევსკის შეძენა ფრანგულ „ბორდოს“ და იტალიურ „ტორინოს“ სურთ. ამჟამად ფეხბურთელი პოლონურ „რადომსკოში“ თამაშობს. „კლუბის პრეზიდენტთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, მაგრამ თუ რაიმე საინტერესო წინადადებას მივიღებ, გუნდს დავტოვებ“ — განაცხადა 26 წლის სიპნიევსკიმ. პოლონელ ფეხბურთელს ნაკრების ღირსებაც დაუცავს და ერთ დროს ბერძნულ ოფი-შიც მოუსინჯავს ძალა. სავარაუდოდ, მისი სატრანსფერო თანხა 35 მილიონი ფრანკი იქნება.

**იტალიური „რომას“ პრეზიდენტი ფრანჩესკო სენსი, როგორც ამბობენ, კლუბის მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან კონტრაქტის კიდევ ორი წლით გაგრძელებას აპირებს. „მილანისა“ და „რეალის“ ყოფილი დამრიგებელი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება და მისი გადაბირება ბევრ ცნობილ კლუბს სურს. „მარადიულ ქალაქში თავს ბედნიერად ვგრძნობ და თუ სენსი კონტრაქტის გაგრძელებას შემომთავაზებს, სიამოვნებით დავთანხმდები“ — განაცხადა კაპელომ.**

**თურქეთის** ნაკრებისა და ინგლისური „ლესტერის“ ნახევარმცველი მაზი იზეტი „ასტონ ვილასა“ და „ლიდსის“ დაპირისპირების ობიექტად იქცა. ბირმინგემული კლუბის მესვეურები „ლესტერის“ ხელმძღვანელობას ფეხბურთელზე დათქმული ფასის, 11 მილიონი გირვანქის, დაკლებას სთხოვენ, ხოლო „ლიდსი“ თურქის შესაძენად 9 მილიონის გადახდაზე ვაჭრობს. „სანამ მე დამელაპარაკებიან, ჯერ „ლესტერმა“ უნდა აირჩიოს სასურველი ვარიანტი“ — განაცხადა იზეტმა.

**იუგოსლაველი, მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავდამსხმელი პერიცა ოგნიენოვიჩი კარიერას „ნანტში“ გააგრძელებს, თუ ფრანგული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხბურთელის შესაძენად „ნანტი“ თანხას არ გაიღებს. „ორ დღეში გაირკვევა, წავალ თუ არა საფრანგეთში“ — განაცხადა ოგნიენოვიჩმა.**


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


# შვედეთი
## XXV ტური

**გიოტებორგი 2:1 ჰალმსტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 25 | 14 | 6 | 5 | 45:27 | 48 |
| გიოტებორგი | 25 | 12 | 8 | 5 | 41:28 | 44 |
| იურგორდენი | 25 | 12 | 8 | 5 | 33:24 | 44 |
| აიკ | 25 | 11 | 9 | 5 | 43:29 | 42 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 10 | 9 | 6 | 44:29 | 39 |
| ჰალმსტადი | 25 | 10 | 7 | 8 | 48:29 | 37 |
| იორგრიტე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:33 | 36 |
| იორებრო | 25 | 8 | 9 | 8 | 48:43 | 33 |
| მალმიო | 25 | 9 | 5 | 11 | 39:44 | 32 |
| ნორჩიოპინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 29:39 | 29 |
| ელფსბორგი | 25 | 8 | 3 | 14 | 30:51 | 27 |
| სუნდსვალი | 25 | 6 | 8 | 11 | 27:37 | 26 |
| ჰეკენი | 25 | 5 | 8 | 12 | 33:48 | 23 |
| ტრელებორგი | 25 | 3 | 5 | 17 | 25:59 | 14 |


იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ფასი შეთანხმებით

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"

☎ (231) 7 17 58



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

## 11 ტური

გადადებული მატჩი




მზვერავი რევაზ ძოძუაშვილი ბათუმში „ლოკომოტივის" სანახავად მეორედ ჩავიდა

# პრესინგი

## წვიმა ბათუმს დასდევს, ძოძუაშვილი ლოკომოტივს

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**ჯერ იყო** და მერთერთმეტე ტურში ჩასატარებელი „ბათუმი" — „ლოკომოტივის" შეხვედრა წვიმამ ჩაშალა და დიდი შანსი იყო, იგივე გუშინაც მომხდარიყო. მეორე ტაიმის მე-13 წუთზე ალექსანდრე კრიჭაშვილმა თამაში შეწყვიტა. ისეთი სეტყვანარევი წვიმა წამოვიდა, ფეხბურთი კი არა, წარღვნა მოვიდაო, გაიფიქრებდა კაცი.

ამ დროისთვის სტუმრები 2:0-ს იგებდნენ და მატჩის ჩაშლა სულაც არ აძლევდათ ხელს. მათ ბედად, 7 წუთში გამოიდარა და თამაშიც კარგა გვარიანად დატბორილ მინდორზე გაგრძელდა.

ბუნების სტიქიამდე კი მასპინძელთა სტიქიურ თამაშს რკინიგზელები ორგანიზებულად და მწყობრად დაუხვდნენ. საწყისი წუთებიდანვე ჩანდა მათი თავდაჯერება და შედეგიც მალე მოიმკეს. მეათე წუთი იყო, ბათუმელთა მცველის ფეხიდან აჭრილი ბურთი კაიდარაშვილს რომ მიუვიდა. ალეკომ პასი შეირგო, ბურთიანად წინ გაიწია და საჯარიმოს ხაზიდან გასატანად დაჰკრა. შეცდა ჭანტურია, ოდნავ წინ გამოსულს უკან დაბრუნებისას კარი დაეკარგა და ახლო კუთხეში ასაღები ბურთი გაუშვა.

ეს იყო და წამოწვიმა კიდეც, რაც მეორე გაშვებული გოლის ფონზე ცივ შხაპად შეერგოთ მასპინძლებს. პირველი გოლიდან ოთხიოდ წუთში ანჩაბაძემ კუთხური გოგიჩაიშვილთან გაითამაშა და საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ეულად დარჩენილ სალუქვაძეს ფეხზე დაასვა. მან კი ხუთიოდ მეტრიდან იოლად გაიტანა.

„ლოკომოტივი" ჩინებულად გაისარჯა. ცენტრი ჭიჭვეიშვილის და ანჩაბაძის საკუთრება შეიქნა, ფლანგზე გოგიჩაიშვილი ნავარდობდა, წინ კი კაიდარაშვილის და დათვაძის შემჩერებელი არავინ ჩანდა. დათვაძეს მეოცე წუთზევე შეეძლო საქმის მოთავება, მაგრამ ახლოდან ისეთი შანსი გააცუდა, გაოცდებოდით.

ასლან ბალაძის შეგირდები დაბნეულნი და შებოჭილნი ჩანდნენ. ხეირიანი კომბინაცია ერთხელაც ვერ გაითამაშეს, პასების წუნი კი ლამის სამ თამაშს დაიტევდა და, რაც უმთავრესია, მათ დროულად გახსნის და მოძრაობის ხალისი არც გამოუვლენიათ.

28-ე წუთზეც შეიძლებოდა ყოველგვარი ინტრიგის მოსპობა, როცა ქაცარავას ხელზე მოხვდა და კრიჭაშვილმა პენალტი დანიშნა. იყოჩაღა ჭანტურიამ და თავისი შეცდომა ბალაშვილის დარტყმის მოგერიებით გამოასწორა.

ამასობაში ბალაძემ ორმაგი შეცვლით მოინდომა სიტუაციის გამოსწორება. გვაზავასა და განსაკუთრებით დარჩიძის გამოჩენამ თითქოს გამოაცოცხლა მასპინძელთა თამაში, მაგრამ შესვენებამდე მათ სტიქიურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმში თამაშის შეჩერებამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. აი, განახლების შემდეგ კი ბრძოლა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული, ოღონდ დატბორილ სარბიელზე განსაკუთრებით გაუჭირდათ ბათუმლებს, რომლებსაც უფრო შექმნა სწყუროდათ, ხოლო სტუმრებს ჩაშლა გაცილებით უკეთ გამოსდიოდათ. ის კი არა, მათი კონტრშეტევებიც მწვავე იყო და მესამე გოლამდე ჯერ გოგიჩაიშვილს შეუშალა ხელი ტალახმა, ხოლო ორ წუთში კაიდარაშვილის თავური კობიძემ უკვე თავით გამოიტანა ცარიელი კარიდან.

თუმც კუთხურიდან ჩაწოდებულზე მაინც ივარგა ალეკომ და ჭანტურიას მესამე, ხოლო თავისი მეორე გოლი გაუტანა.

„ბათუმმა" გოლს მალე უპასუხა. ტუღუშის დაბალ პასს დარჩიძემ ფეხი ეფექტურად დაუხვედრა და ლომაია უძლური დატოვა. ამ გოლმა მასპინძლები კი გამოაცოცხლა, მაგრამ ხიფათი ძირითადად მაინც მათ კართან შეიქმნა. ყველასგან გამორჩეულ კაიდარაშვილს კიდევ ორჯერ მართებდა გატანა, მაგრამ ერთ ეპიზოდშიც ვერ ივარგა, თუმც ამით არაფერი დაშავებულა. ბოლო წუთების შტურმი „ბათუმს" ძველებურად უნიათოდ გამოსდიოდა და ერთი-ორი სახიფათო მომენტის გარდა ვერაფერს გამორჩა.

ბათუმი. 24 ოქტომბერი. 16.00 საათი. დინამო. 3 000 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 1:3 ლოკომოტივი

0:1 კაიდარაშვილი (10), 0:2 სალუქვაძე (14), 0:3 კაიდარაშვილი (68), 1:3 დარჩიძე (71)
ბალაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (29, მეკარე)

1 ჭანტურია
მწვრთნელი: ასლან ბალაძე
5 კობიძე, 4 არჩვაძე, 2 გ. ჩხაიძე
7 ხუჯაძე, 3 მინდაძე
6 ქაცარავა, 8 რომანაძე
10 ტუღუში
11 აფხაზავა, 9 მაჭუტაძე

10 კაიდარაშვილი, 16 დათვაძე
26 ანჩაბაძე
20 ონიანი, 9 გოგიჩაიშვილი
8 ჭიჭვეიშვილი, 25 გელა ქორიძე
23 ლაცაბიძე, 4 სალუქვაძე, 2 ბალაშვილი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე
1 ლომაია

შეცვლა: რომანაძე — 17. დარჩიძე (35), ჩხაიძე — 14. გვაზავა (35), დათვაძე — 5. ბაქრაძე (61), ანჩაბაძე — 6. დავითნიძე (82), გოგიჩაიშვილი — 15. სირბილაძე (88)

გაფრთხილება: ჩხაიძე (30), კაიდარაშვილი (80)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 26 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 5 | კარში დარტყმა | 7 |
| 3 | თამაშგარე | 8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 31:6 | 32 |
| ლოკომოტივი | 12 | 9 | 1 | 2 | 25:8 | 28 |
| მერანი | 12 | 7 | 1 | 4 | 22:19 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 19:13 | 19 |
| ბათუმი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:10 | 19 |
| დინამო | 12 | 5 | 3 | 4 | 23:11 | 18 |
| კოლხეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 20:19 | 18 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 7:18 | 12 |
| გურია | 12 | 1 | 5 | 6 | 9:20 | 8 |
| სამგურალი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:23 | 8 |
| გორდა | 12 | 1 | 4 | 7 | 10:24 | 7 |
| მეტალურგი | 12 | 1 | 4 | 7 | 6:24 | 7 |

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

## 12 ტური

მიმოხილვა

# გორი, ორი, წნორი

## დილამ მილანს ვერ გაუძლო

**საკმაოდ** დაიძაბა სიტუაცია პირველ ლიგაში, თუმც მხოლოდ უმაღლესი ლიგის საგზურის მაძიებელთა შორის. რაც შეეხება სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილს, იქ თითქმის ყველაფერი გარკვეულია. ბორჯომის „თორს", თბილისის „მერანი 2"-სა და „სამტრედიას" ერთი საფეხურით დაქვეითება ალბათ არ ასცდებათ.

მეორე წრის დაწყება და ლიდერის შეცვლა ერთი იყო. აქამდე ცხრილის სათავეში მყოფმა გორის „დილამ" ადგილი წნორის „მილანს" დაუთმო. გორელები მეთორმეტე ტურში ზუგდიდის „ლაზიკას" ეწვიენ. „ლაზიკამ" ათასამდე მაყურებლის თვალწინ თავი არ შეირცხვინა და გათამაშების ლიდერს პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე. მასპინძლები შეხვედრის დასაწყისშივე, მე-4 წუთზე კვიტატიანმა პენალტით დააწინაურა. ტაიმის ბოლოს კი ზუგდიდელთა ბომბარდირმა ბაკარანძემ ერთიც მოუმატა და საბოლოოდ — 2:0. „დილა" უკვე ზედიზედ ორი ტურია, მარცხდება.

ამ შეხვედრის დაძაბულობაზე მასპინძელ ლიპარტიას გაძევებაც ნათლად მეტყველებს. მე-60 წუთზე შეცვლაზე შესულმა ლიპარტიამ შეხვედრის მიწურულს მეტოქეს სახეში გაარტყა და მატჩის არბიტრმა უმალ წითელი აუფრიალა.

ზუგდიდელების საჩუქარი ხელიდან არ გაუშვა წნორის „მილანმა". კახელებს მეტოქედ უხერხული „ხობი" ჰყავდათ, მაგრამ „მილანმა" სტუმრები აშკარად დაჩაგრა და დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მატჩში „მილანს" რვა თვის უთამაშებელი პაატა გამცემლიძე დაუბრუნდა. გამცემლიძე წინა სეზონში ჩადენილი უმსგავსო საქციელის გამო დისკვალიფიცირებული იყო.

ახლა ორიოდ სიტყვა მატჩზეც ვთქვათ: იგი სულ ახალდაწყებული იყო, ვარამაშვილმა მასპინძლები რომ დააწინაურა. „მილანს" მთავარი ბომბარდირი ზაზა მედოევი აკლდა, თუმცა მირზა სამხარაძემ გუნდს მისი არყოფნა არ დაატყო. მან მე-4 და მე-13 წუთებზე გამოიჩინა თავი და მატჩის დამთავრება ფაქტობრივად, ფორმალობად აქცია. ამის შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთს თითო გოლი გაუცვალეს დ შეხვედრაც ასე დასრულდა — 4:1 „მილანის" სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ მილანელებს 25 აგვისტოს შემდეგ არ წაუგიათ.

რთული გამარჯვება მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზურის კიდევ ერთმა მაძიებელმა „ქობულეთმა". ზღვისპირელებს შინ ერთ-ერთი აუტსაიდერი „სამტრედია" ესტუმრათ, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს. თუმც მატჩის დასაწყისი სამტრედიელებს სულ სხვას უქადდა. „ქობულეთი" 24-ე წუთზე თალაკვაძემ დააწინაურა. მეორე ტაიმში კი სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ზღვისპირელებს ძვირფასი ქულების დაკარგვის საშიშროება დაემუქრათ, თუმც „სამტრედიას" იმედი გაუცრუვდა და შინ ქულით ხელდამშვენებული ვერ წავიდა. მატჩის მიწურულს მასპინძელმა ბერიძემ დუბლი შეასრულა და მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა გუნდს. ამ მოგების შედეგად „ქობულეთი" გორის „დილასთან" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს და უმაღლეს ლიგაში ალზევების შანსს კვლავაც ინარჩუნებს.

ლიდერთა სამეულს კვალში უდგას თსუ. სტუდენტებმა ჩემპიონატი სუსტად დაიწყეს, თუმც უკვე ექვსი ტურია, წაგება არ იციან, წინა ტურში კი სულაც დაუმარცხებელი „დილა" გააკრეს ბეჭებზე. ამჯერად თსუ-მ მაჩანჩალა "მერანი 2" იმსხვერპლა. სტუდენტებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და დიდი ანგარიშით 3:0 გაანადგურეს. გოლები საკუთარ ანგარიშზე მესხმა, ნოზაძემ და შოშიაშვილმა ჩაიწერეს. თსუ-მ თორმეტ თამაშში 23 ქულა დააგროვა და თუ ასე გააგრძელა, ლიდერთა შორის დამკვიდრებაც არ უნდა გაუჭირდეს.

სატურნირო ცხრილის შუაში დამკვიდრებული თბილისის „ლოკომოტივი 3" რკინიგზელთა საწვრთნელ ბაზაზე მეზობელ (ყველანაირი გაგებით) „დინამო 2"-ს მასპინძლობდა. რკინიგზელებმა მეტოქეს თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს და 2:0 დაამარცხეს. გოლები მე-11 წუთზე სოსელიამ, ხოლო 79-ე წუთზე შეცვლაზე ოთხი წუთის შესულმა მანჭარაულმა შეაგდეს.

რაც შეეხება მეთორმეტე ტურის ბოლო მატჩს, რომელშიც ერთმანეთს ბორჯომის „თორი" და „ცხინვალი" უნდა შეხვედროდნენ, იგი გაურკვეველი დროით გადაიდო.

**კახა ზალამბერიძე**

თბილისი
22 ოქტომბერი
16.00 საათი
საწვრთნელი ბაზა
100 მაყურებელი

### ლოკომოტივი 3 2:0 დინამო 2

1:0 სოსელია (11), 2:0 მანჭარაული (79)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი; ი. კახიანი (ორივე თბილისი)

მცხეთა
22 ოქტომბერი
16.00 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

### თსუ 3:0 მერანი 2

1:0 მესხი (16), 2:0 ნოზაძე (84), 3:0 შოშიაშვილი (90)
მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი), ზ. ერქვანია (ზუგდიდი); მ. მალალურაძე (თბილისი)

ზუგდიდი
22 ოქტომბერი
16.00 საათი
მ. თუთბერიძე
1 000 (ტევადობა 7 500)

### ლაზიკა 2:0 დილა

1:0 კვიტატიანი (43), 2:0 ბაკარანძე (43)
მსაჯები: ა. ზალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

წნორი
22 ოქტომბერი
16.00 საათი
ძველი ანაგა
300 (ტევადობა 3 000)

### მილანი 4:1 ხობი

1:0 ვარამაშვილი (1), 2:0, 3:0 სამხარაძე (4, 13), 3:1 როგავა (32), 4:1 მეტონიძე (89)
მსაჯები: ო. ხეცაძე; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი); გ. ვადაჭკორია (თბილისი)

ქობულეთი
22 ოქტომბერი
16.00 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 000)

### ქობულეთი 3:1 სამტრედია

1:0 თალაკვაძე (24), 1:1 კიკაჩეიშვილი (62), 2:1, 3:1 ბერიძე (84, 88)
მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); მ. ნაკაიძე, ა. გუნთაძე (ორივე ლანჩხუთი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

# ბაზელში ციმბირულის აჩრდილი ტრიალებს



ტიმ ჰენმანი

**სტოკჰოლმი (შვედეთი). „საერთაშორისო სერია“ ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

**პირველი წრე.** რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:3, 6:3; იუნეს ელ აინაუი (7, მაროკო) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:4; გილერმო კანასი (4, არგენტინა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:2; უეინ ფერეირა (8, სამხრეთ აფრიკა) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 7:5, 6:2; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 6:3; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 7:6 (7:0); სებასტიენ გროჟანი (2, საფრანგეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2, 5:7, 6:2; სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:1, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:4, 7:5; უეინ არტურსი (ავსტრალია) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; იარკო ნიმინენი (ფინეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 7:6 (7:1), 6:3; ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:7 (4:7), 6:4, 4:1 (ტრავმა); მარსელო რიოსი (ჩილე) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 3:6, 6:4

პატრიკ რაფტერმა კარგა ხნის წინ და ლეიტონ ჰიუიტმა სტოკჰოლმის ტურნირის კვირაძალს თამაშზე უარი განაცხადეს. 800 ათასი დოლარის წილში ჩასაჯდომად ისინი ტრავმების გამო ვერ იბრძოლებენ. პირველს მხარი აწუხებს, მეორეს — ზურგი.

ოზების არყოფნამ ტურნირი პირველი ხარისხის ვარსკვლავთა გარეშე დატოვა, თუმცა განთესილებში ათასჯერ ნახსენებ მრავალ ჩოგბურთელს ვამჩნევთ. ესაა, მაგალითად, მე-4 ნომერი გილერმო კანასი არგენტინიდან, რომელსაც პირველ წრეში ფაქტობრივად პრობლემა არ ჰქონია, ხოლო მეშვიდე განთესილმა იუნეს ელ აინაუიმ ბევრად მეტი ინერვიულა. მაროკოელმა ერთხელ ჩოგანი დაახეთქა მიწაზე, მეორედ მაყურებლებს შეულრინა, ჩუმად იყავითო და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა არგენტინელ ფრანკო სკილარის ბოლო ბურთი ჩაუგდო. ელ აინაუი შემდეგ წრეშია, სადაც, სხვათა შორის, ითამაშებს 17 წლის რობინ სოდერლინგი, რომელსაც შვედები დიდი იმედით შესცქერიან, ჩვენი ჩოგბურთის მომავალიაო.

**ბაზელი (შვეიცარია). „საერთაშორისო სერია“ ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

**პირველი წრე.** მარკ როსე (შვეიცარია) — ალექს კორეჩა (3, ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:1; ტიმ ჰენმანი (2, დიდი ბრიტანეთი) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; კარლოს მოია (7, ესპანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:6 (7:2), 6:4; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:4; არნო კლემანი (5, საფრანგეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 6:1; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:1, 6:4; ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 6:4, 2:6, 6:2; მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 5:7, 7:6 (7:1), 6:1

სანამ მატჩები დაიწყებოდა, ბაზელის „სანტ იაკობს ჰალეში“ ერთხანს ხორთუმიანი ადამიანები ირეოდნენ. ცნობა იყო, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა საეჭვო ფუთა მიიღეს და ვითომ იგი პოპულარულად ქცეული ციმბირის წყლულის ბაქტერიებს შეიცავდა. სარბიელი ჩაკეტეს, მოცვივდნენ შესაბამისი სამსახურის მანქანები სადეზინფექციო ქიმიური ნივთიერებებით, მეხანძრეები — აირწინაღებით და შლანგებით და ასე შემდეგ. ათიდან თორმეტის ნახევრამდე უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღეს, ფუთა ლაბორატორიაში წაიღეს და ტურნირმა სტარტი აიღო.

პირველად ტიმ ჰენმანმა და ანტონი დიუპუიმ ითამაშეს. მეორედ განთესილმა ბრიტანელმა საქმის უცებ მომთავრება ჩაიფიქრა, მაგრამ პირველ სეტში ფრანგის წინააღმდეგობას შეხვდა. მეორე პარტიაში ჰენმანი 5:0-ით წინ გავარდა და უშფოთველად გავიდა მომდევნო წრეში.

„პირველი სეტის 4:4-იდან მართლა კარგად ავთამაშდი — თქვა ბრიტანეთის პირველმა ჩოგბურთელმა — თქროსავით კორტია, ჩემს თამაშზე სწორედ ზედგამოჭრილი“.

ბაზელის ტურნირიდან ჰენმანს ტკბილ მოგონებად გაჰყვა 1998 წლის ჩემპიონობა და ცოტა მწარედ — მომდევნო წლის ფინალი. საერთოდ, რაც იქ გამოდის, არ ყოფილა შემთხვევა, ნახევარფინალამდე არ მიეღწიოს.

„მგონი, 8 საუკეთესოში მოსახვედრად ჩემი თამაშის დონე საკმარისია“ — ოპტიმისტურად შეეხო ჰენმანი მელბურნის „მასტერს კაპის“ თემას. იქ მსოფლიოს 8 საუკეთესო მოთამაშე გამოვა.

**სანკტ პეტერბურგი (რუსეთი). „საერთაშორისო სერია“ ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $**

**პირველი წრე.** გორან ივანიშევიჩი (5, ხორვატია) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2, 6:3; ფაბრის სანტორო (6, საფრანგეთი) — მიხაილ ელგინი (რუსეთი) 6:4, 6:3; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:2, 7:6 (7:4); დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — ოლივიე როშიუ (ბელგია) 6:3, 7:6 (7:3); ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:6 (7:3), 6:2; ატილა შავოლტი (უნგრეთი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 6:4, 7:5; გრეგ რუზედსკი (7, დიდი ბრიტანეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:1, 6:4; მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:3); ფელიქს მანტილია (ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 7:6 (7:3); მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 7:5, 7:5; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1, 7:6 (7:0)

რუსეთის ყოფილ დედაქალაქს მოსკოვივით სოლიდური ტურნირი არა აქვს, თუმცა იქ რამდენიმე ელიტარული ჩოგბურთელი თამაშობს. გორან ივანიშევიჩი მეორე წრეში ესპანელ ფელიქს მანტილიას შეხვდება, რომელმაც ამის უფლება ირაკლი ლაბაძის ძნელი დამარცხებით მოიპოვა. ლაბაძე წყვილებში მარატ საფინთან ერთად ჯერ წინ მიდის.

ნევის პირას, ტრავმის შემდგომ პირველად, მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდება წარმოადგინა ბრიტანელმა გრეგ რუზედსკიმ, ვინც მასპინძელი ანდრეი სტოლიაროვი დაამარცხა. სტოლიაროვმა მუშტების ქნევა ბრძოლის შემდგომ პრესკონფერენციაზეც განაგრძო, ბურთის პარამეტრები ფრიად დაიწუნა, მძიმე იყოო.

„ჯერ ერთი, მარჯვნივ რომ ვურტყამდი, მარცხნივ მიდიოდა და პირიქით — თქვა სტოლიაროვმა — მერე, ბურთიც მძიმე იყო. მისთვის, ვინც სიმაღლით 2 მეტრზე მეტია და საათში 200 კილომეტრი სიჩქარით ურტყამს, შეიძლება ეს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ხომ არიან ჩოგბურთელები, რომლებსაც ამგვარი მონაცემები არა აქვთ. ასეთებზე მძიმე ბურთი ცუდად მოქმედებს“.

ნახსენები სიჩქარით სწორედ რუზედსკი ურტყამს და სტოლიაროვმა, ასე ვთქვათ, ირიბად, მეტოქის გამარჯვების უსამართლობაზე მიანიშნა, თუმცა ბრიტანელს შუბლზე ძარღვი არ ასტოკებია.

„კარგი იქნება, თუ ყველა დარბაზის ტურნირზე ერთნაირი ბურთებით გვათამაშებენ — რუზედსკის სიტყვებია — მაგრამ ბოლოს და ბოლოს პირობები ერთია ყველა ჩოგბურთელისთვის“.

თვისტომს თვისტომი გამოესარჩლა, ჯუჯღუნა პირშიმთქმელი ევგენი კაფელნიკოვი: „სიტუაცია ზუსტად ისეთია, როგორც ვენაში ორი კვირის წინათ — ამათ (ორგანიზატორებს) ხანგრძლივი გათამაშებები აინტერესებთ და ბურთებს ამძიმებენ, რასაც ჩოგბურთელი ემსხვერპლება. მძიმე ბურთს მეტი ძალით უნდა დაარტყა და მეტი რისკია, მხრის ან მაჯის ტრავმა მიიღო“.

პრეტენზიების მიუხედავად, კაფელნიკოვს თავისი მატჩის მოგება დიდად არ გასჭირვებია.

**ლინცის (ავსტრია) ღია პირველობა საპრიზო 565 ათასი $**

**პირველი წრე.** მაგდალენა მალეევა (7, ბულგარეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 7:5, 6:1; ჩანდა რუბინი (აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; ივა მაიოლი (ხორვატია) — ეველინ ფაუტი (ავსტრია) 5:7, 6:4, 6:0; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:3, 1:6, 7:6; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 7:5; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:2, 6:2; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — კრისტინა ტორეს-ვალერო (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:2; აი სუგიამა (იაპონია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 3:6, 7:6 (7:2), 6:3

**ლუქსემბურგის ღია პირველობა საპრიზო 170 ათასი $**

**პირველი წრე.** პატი შნაიდერი (შვეიცარია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:0; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:2, 6:2; კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 6:2; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:4, 6:3; ანა კურნიკოვა (5, რუსეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 6:4, 7:5; ლუდმილა ბახევა (ბულგარეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (8, იტალია) 7:6 (7:4), 6:2; ლაიზა რეიმონდი (6, აშშ) — მარტა გერერო (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:4; ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 7:6 (8:6), 6:2; კარა ბლეკი (ზიმბაბვე) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4, 6:0; მეილენ ტუ (აშშ) — ანე კრემერი (7, ლუქსემბურგი) 6:3, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:2, 4:6, 6:4

ლუქსემბურგში მოიგო ანა კურნიკოვამ — ასეთი ცნობა დიდი იშვიათობა გახდა და არ ვახსენოთ, არ იქნება.

**დავით გულუა**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბიჩს ბიჭობას უქებენ

23 ოქტომბერი

**კოლუმბუსი 1:7 ლოს ანჯელესი (0:5 1:2 0:0)**
0:1 პალფი 1(3), 0:2 მიურეი 5(6), 0:3 დედმარში 12(2), 0:4 ბელანჟე 17(1), 0:5 პალფი 18(4), 0:6 დედმარში 24(3), 0:7 შნაიდერი 25(3), 1:7 შპანჰელი 37(1)

**ატლანტა 2:4 პიტსბურგი (2:1 0:2 0:1)**
1:0 კოვალჩუკი 7(4), 1:1 ლემიე 7(1), 2:1 პიტლი 17(2), 2:2 რიში 27(2), 2:3 როსტივალი 37(1), 2:4 სტივენსი 43(1)

**ტორონტო 2:0 ბოსტონი (0:0 1:0 1:0)**
1:0 სუნდინი 26(4), 2:1 გრინი 60(2)

**ჩიკაგო 6:3 კალგარი (2:1 2:0 2:2)**
1:0 კოლდერი 2(4), 2:0 ჟამნოვი 5(4), 2:1 იგინლა 20(5), 3:1 ამონტე 34(3), 4:1 ბელი 39(2), 5:1 დაზე 42(6), 6:1 კოლდერი 43(5), 6:2 ბერუბი 48(2), 6:3 ბერუბი 36(3)

**ოტავა 1:2 ნიუ ჯერსი (0:0 1:1 0:1)**
0:1 სიკორა 26(3), 1:1 რედენი 31(3), 1:2 ელიაში 50(5)

**ტამპა 1:1 ვაშინგტონი (0:0 1:1 0:0 0:0)**
0:1 ნიკოლიშინი 35(3), 1:1 სენტ ლუისი 40(3)

**ბუფალო 4:1 სან ხოსე (0:0 2:0 2:1)**

**კოლორადო 5:1 კაროლინა (0:1 3:0 2:0)**
0:1 ონილი 4(6), 1:1 პოდინი 23(2), 2:1 უოლსი 31(1), 3:1 საკიკი 40(6), 4:1 ტანგეი 53(3), 5:1 პოდინი 58(3)

**ვანკუვერი 4:2 ნეშვილი (2:0 0:1 2:1)**
1:0 ვაისილიევსი 6(2), 2:0 ჟოვანოვსკი 9(4), 2:1 ლეგვანდი 27(2), 3:1 ნესლუნდი 43(6), 3:2 ლეგვანდი 53(3), 4:2 მორისონი 58(3)

„დიდი ხანია, მწვრთნელად ვმუშაობ. მაგრამ ასე ცუდად პირველ პერიოდში ჩემს არც ერთ გუნდს არ უთამაშია. სრულიად უმწეოდ ვიდექი და ვუყურებდი, თუ როგორ სამარცხვინოდ აგებდნენ ჩემი ბიჭები“ — თქვა მატჩის შემდეგ კოლუმბუსის თავკაცმა დეივ კინგმა. და მართლაც, თავის ლამის 25-წლიან სამწვრთნელო კარიერაში მას უამრავი გუნდი და ნაკრები გაუწვრთნია და ბევრი რამ უნახავს, მაგრამ ასეთი — არაფერი.

წინა სეზონში მეოთხედფინალში გასულმა ლოს ანჯელესმა ჩემპიონატის სტარტი აშკარად ჩააგდო. ორადორჯერ მოიგო 8 მატჩში და რაც მთავარია, მაღალი შედეგიანობით არ გამორჩეულა, რაც მუდამ ახასიათებდა: თუ შარშან ამ მხრივ დიდხანს ლიგის პირველ სამეულში იყო, წლეულს მხოლოდ 20 გოლი მიითვალა. თანაც აქედან ლომის წილი ბრაიან სმოლინსკის მეორე ხაზის აქტივში იყო. „მეფეთა“ მთავარი დამრტყმელი ძალა, პალფი — შტუმპელი — დედმარშის ტრიო კი მეტწილად ხელცარიელი რჩებოდა. და აი, საგარეო ტურნეს წინ ლოსანჯელესელებმა პირობა დადეს, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა და საქმეს პირველივე, კოლუმბუსთან შეხვედრაში შეუდგნენ. პირველივე ცვლაში წამყვანმა სამეულმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშა და ზიგმუნდ პალფიმ ანგარიში გახსნა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. სულ რაღაც ორნახევარ წუთში მასპინძლებმა წესები დაარღვიეს და სტუმრებმა ამით ისარგებლეს. საერთოდაც, ამ მატჩში თავიანთ მთავარ იარაღად რიცხვმრავლობის გამოყენება აქციეს. ასეთი შანსი მათ ოთხჯერ მიეცათ და ხელიდან არ გა[illegible]ოდში [illegible]ტესობაც. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 5:0 იყო, მაგრამ „მეფეებმა“ მაინც არ დაზოგეს მეტოქე. მათგან ყველაზე შედეგიანი კი დედმარში იყო, რომელსაც 2 გოლი და 3 პასი დაუგროვდა.

კაროლინასთან შეხვედრამდე ჩემპიონ კოლორადოს 50-პროცენტიან ზღვრამდე დაქვეითების საფრთხე დაემუქრა. „ევალანშის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს და შერცხვენას გადაურჩნენ. მეორე და მესამე პერიოდებში ჩემპიონმა ულავოდ საუკეთესო თამაში აჩვენა ამ სეზონში. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამჯერად მისმა ოთხივე სამეულმა შეიტანა წვლილი გამარჯვებაში. საუკეთესო კი დაუღალავი შონ პოდინი იყო, რომელმაც 2 გოლი გაიტანა. დებიუტანტმა ბრაიან უილსიმ ლიგაში პირადი ანგარიში გახსნა.

მოიგო პიტსბურგმაც. სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა მარიო ლემიემ (1+1), თანაც ეს ძალიან ლამაზად გააკეთა — კარს ირგვლივ შემოუარა და მერე დაარტყა, რამაც ყველა აღაფრთოვანა. თავად ლემიემ კი ნამატჩევს დებიუტანტი კრის ბიჩი შეაქო, რომელიც „პინგვინებს“ მეორე და მესამე გოლების ასისტენტად მოევლინათ: „ძალიან ნიჭიერია და რაც მთავარია, სურს, სულ უფრო და უფრო მეტი ისწავლოს“. 20 წლის ბიჩი, მოგეხსენებათ, პიტსბურგში იარომირ იაგრის ნაცვლად მივიდა.

ვანკუვერმა მწვრთნელ მარკ კროუფორდის ახალი ორწლიანი კონტრაქტი ნეშვილის ძლევით აღნიშნა. კალგარის კი რომან ტურეკის პირველი დასვენება წაგების ფასად დაუჯდა. მისმა შემცვლელმა მაიკ ვერნონმა ჩიკაგოელთაგან 6 გოლი გაუშვა, თუმცა ეს მეკარის ბრალი როდი იყო. ერთბაშად სამმა ჩიკაგოელმა — ალექსეი ჟამნოვმა (1+2), კაილ კოლდერმა (2+1) და ფილ ჰაუსლიმ (3 პასი) 3 ქულა მოაგროვა.

ბოსტონისთვის ხანგრძლივი 6-მატჩიანი გასვლითი ტურნე ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა. „დათვებმა“ თავად 6 გოლი გაიტანეს და ცოტათი მეტი გაუშვეს. ამჯერად ტორონტოს მეკარე კურტის ჯოზეფმა (33-ე მათაუტი) სტუმრები ხელცარიელი დატოვა, ხოლო მატს სუნდინმა გადამწყვეტი გოლით კანადურ კლუბში მოგროვილი ქულების რაოდენობა 538-მდე გაზარდა, რითაც ტორონტოს ისტორიაში მე-9 ბომბარდირი შეიქნა.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ამბავი. ამ დღეებში ფილადელფიელმა ერიკ დეჟარდენმა სენსაციური განცხადება გააკეთა და კაპიტნის მოვალეობისგან თავი გაითავისუფლა. ეს იმით ახსნა, რომ ძალიან იტვირთებოდა, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა და უშუალოდ თამაშზე კონცენტრირებას ვერ ახერხებდა. ეს მართალიცაა, რადგან მაღალი შედეგიანობით ცნობილი მცველის აქტივში 8 მატჩში მხოლოდ 3 პასია. დეჟარდენს კიტ პრიმო შეცვლის, რომელიც ჯერჯერობით დაშავებულია. იგი „მფრინავთა“ ისტორიაში მე-13 კაპიტანი იქნება.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ჩიკაგოდან

ჩიკაგო — კალგარი. დერეკ მორისმა ჩიკაგოელ მარკ ბელს ყბაში მოსდო

# NBA სეზონის წინ. ატლანტიკის დივიზიონი

30 ოქტომბერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 56-ე სეზონს იწყებს. 29 გუნდი, ზოგი სახეცვლილი და ზოგიც ძველი შემადგენლობით, ექვსი თვე ერთმანეთს რეგულარულ ჩემპიონატში შეებრძოლება, შემდეგ კი 16 რჩეული საპლეიოფო ომს გააჩაღებს. 2001-02 წლების სეზონის მონაწილეთაგან ზოგმა მოილია საგამოფენო მატჩები, ზოგიც დღეს-ხვალ საბოლოოდ შეეჭიდება მეტოქეს, რამდენიმე დღეში კი ნამდვილი თამაშები დაიწყება. ჩვენ კი მანამდე დამდეგი სეზონის მონაწილეებს შევავლოთ თვალი.

## ბოსტონ სელტიქსი

ძველი დიდების დაბრუნებაზე მეოცნებე ლიგის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა თვალისმომჭრელ წარსულს შეავლო თვალი და თავისი მხსნელი იქ მოძებნა. „კელტებს" ახალი პრეზიდენტი, ლეგენდარული რედ აუერბახი ჰყავთ, რომლის მწვრთნელობითაც ცხრაჯერ გაუმარჯვიათ ნბა-ს ფინალში. აუერბახი მანამდეც გახლდათ „სელტიქსის" პრეზიდენტი, თუმც გვარიანად მობერებულმა თავისი სკამი ამ ხუთიოდ წლის წინ რიკ პიტინოს დაუთმო. პიტინომ ვერ ივარგა.

თავად „კელტთა" რაზმი ძირითადად უცვლელად ეგებება ახალ სეზონს. გამორჩეული არავინ წასულა (ისე, ასეთი იქ ბევრიც არაა), მისვლით კი ახალი ბიჭები მივიდნენ დრაფტიდან. „ბოსტონის" ლიდერი კვლავაც ნიჭიერი ყმაწვილკაცი პოლ პირსი იქნება, რომელსაც ანტუან უოლკერი და კენი ანდერსონი დაეხმარებიან. ქომაგებს ეს სამეული სერიოზულ ძალად არ მიაჩნიათ და არც თუ ტყუილად. ანდერსონი კარგი გამთამაშებელია, თუმც ტრავმებს ხშირად იღებს. უოლკერს კი ზოგჯერ ავიწყდება, რომ მისი ადგილი ფარქვეშაა და გული პერიმეტრზე მიუწევს, რითაც ფარქვეშა სივრცეს მეტოქეს ანებებს და პირსსაც და ანდერსონსაც ხელს უშლის. კლუბი რატომლაც არ ცდილობს ცენტრის პრობლემის მოგვარებას. რობერტ პერიშის შემდეგ „სელტიქსში" ამ ამპლუის მოთამაშეთაგან რიგიანი არავინ გამოჩენილა.

## მაიამი ჰითი

ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველი თავის მეოთხე პროფესიულ სეზონს ამ გუნდის 50-ნომრიანი მაისურათი დაიწყებს, თუმც მანამდე ვლადიმერ სტეფანიას ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს, „ჰითის" თორმეტკაციან შემადგენლობაში მყარად რომ მოიკიდოს ფეხი. გუნდში მისი დონის ბევრი კალათბურთელი ირიცხება.

ჯერჯერობით „მაიამი" არასრულფასოვანი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ორი ლიდერი — გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი და ფრთა ენტონი მეისონი დაკარგა. ამ პოზიციებზე კი მათზე ბევრად უნიჭო ბიჭები ითამაშებენ, რაც აქამდე შეკრულ გუნდში ბზარებს გააჩენს.

საერთოდ კი, მოხუცებული ჰარდევეის და გადარეული მეისონის დაკარგვის გამო „ჰითის" ჩამოწერა ნაადრევია. გუნდს ხომ თვით პატ რაილი თავკაცობს, რომელსაც გაცილებით რთულ სიტუაციაში უპოვია გამოსავალი. რაილის ძირითადი დასაყრდენია გამოჯანმრთელებული ცენტრი ალონზო მურნინგი და ფარქვეშ მისი დამხმარე ბრაიან გრანტი. უწინ ჰარდევეის შემცვლელი, აწ კი სასტარტო ხუთეულის წევრი ენტონი კარტერი შეეცდება, ამ ორს შეძლებისდაგვარად ბევრი პასი მიაწოდოს. გუნდის მთავარი უკანახაზელია მსროლელი ედი ჯონსი, რომელიც ბოლომდე ჯერაც ვერ შეეწყო რაილის ნაქადაგევ თამაშის ხისტ სტილს.

## ნიუ ჯერსი ნეთსი

როგორც ჩანს, ნიუჯერსელებს თანდათან გაუნელდებათ კიტ ვან ჰორნისადმი აღფრთოვანება და ბოლოს გაცვლიან კიდეც. მით უმეტეს, რომ წინა სეზონში ასევე თავდამსხმელმა, ახალბედა კენიონ მარტინმა „ბადეთა" თავკაცებს ერთობ მოაწონა თავი. მანამდე კი „ნიუ ჯერსიმ" უკვე მოასწრო დიდი გაცვლის გაჩარხვა — გუნდის ლიდერი და წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 23 ქულის ჩამგდები სტივენ მარბერი „ფინიქსს" ასევე სუპერგამთამაშებელ ჯეისონ კიდში გაუცვალა. კიდი მარბერივით სწორუპოვარი მეტულე ვერაა, თუმც გუნდის შეტევათა ორგანიზებაში აშკარად სჯობს მარბერისაც და ყველა დანარჩენებსაც მთელ ლიგაში, დაცვაშიც მეტი სარგებელი მოაქვს.

## ნიუ იორკ ნიქსი

„ნიქსის" მთავრობისა გაგვკვირვებია. ისინი გუნდში იყოლიებენ სამ გამთამაშებელს, ოთხ მსროლელს, ოთხ თავდამსხმელს და არც ერთ ფრთას. „ნიუ იორკის" ვარსკვლავურ შემადგენლობაში ვერც ცენტრს ვხედავთ. მარკუს კემბი კარგი ბიჭია და მაღალიცაა, მაგრამ ნბა-ს გოლიათებთან ჯაჯგურისთვის ძალა არ მოსდევს.

ძნელი გასაგებია, ფრთის პოზიციაზე იძულებით სირბილს როდემდე იგუებს შარიანი ლატრელ სპრიუელი, რომელმაც ოთხი წლის წინ ამის გამო უწინდელ გუნდ „გოლდენ სტეიტში" მწვრთნელი სცემა. იგი ბურთის სროლისას უფრო სასარგებლოა. აქ კი „ნიქსს" ალან ჰიუსტონი ჰყავს, რომლის შენარჩუნება კლუბს ას მილიონზე მეტი დაუჯდა, არადა, ამის ნახევარ ფასად რიგიანი ფრთის დაყოლიება შეიძლებოდა და უცენტრობასაც ეშველებოდა.

ორიოდ კვირის წინ კლუბმა, როგორც იქნა, გაუშვა კუნთების გროვა ლარი ჯონსონი, რომელსაც ამ 8-9 წლის წინ ნბა-ს დაპყრობას უწინასწარმეტყველებდნენ, ბოლოს კი ისე გაუხდა საქმე, „ნიქსის" შემადგენლობაში დაკარგა ადგილი. მას კურტ ტომასი შეცვლის, ბურთს კი კვლავ მოხუცებული მარკ ჯეკსონი გაათამაშებს ჯაელ ჩარლი ვორდთან მონაცვლეობით. ამ შემადგენლობით „ნიქსს" პლეი ოფში მოხვედრა არ გაუჭირდება, იქ კი, ალბათ, თავს ვერ გამოიჩენს.

## ორლანდო მეჯიქი

ამ გუნდს აღმოსავლეთში პირველობა უნდა და ამას უწინასწარმეტყველებენ კიდეც. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ის გუნდია, სადაც თავად გრანტ ჰილიც ვერაა პირველი კაცი. ბოლო წლების ნბა-ს უძლიერესმა ფრთამ, ჰილმა წინა სეზონის დასაწყისში ტრავმა მიიღო, მთელი სეზონით დაისვენა და „მეჯიქიც" თითქოს აუტსაიდერობისთვის გაიწირა, მაგრამ 21 წლის ჯეელმა ტრეისი მაკგრეიდიმ ფლორიდელებს საშუალოებში ადგილი შეუნარჩუნა. მაკგრეიდი ყოჩაღი ბიჭია და საეჭვოა, ჰილმა ლიდერობა წაართვას, თუმც ჰილის ხუთეულიდან ამოგდება არ იქნება და მაკგრეიდიც მსროლელად გადაინაცვლებს. შედეგად სათადარიგოებში ჩაეწერება სნაიპერი მაიკ მილერი, რომელსაც წინა სეზონში ახალბედებში ბადალი არ ჰყავდა.

ამ სეზონთა შორის პერიოდში „ორლანდომ" აიყვანა ორი ვეტერანი მეფარე — თავდამსხმელი ჰორას გრანტი და ცენტრი პატრიკ იუინგი, რითაც ფარქვეშეთში თავს იმედიანად იგრძნობს. ამ საკმაოდ ჭრელ, მაგრამ დიდი პოტენციალის გუნდს მოედანზე გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი შეკრავს, მის გარეთ კი — პერსპექტიული მწვრთნელი დოკ რივერსი.

## ფილადელფია 76

ამ გუნდმა წინა სეზონი ზედიზედ ათი გამარჯვებით დაიწყო, შემდეგ აღმოსავლეთში ყველას აჯობა და ნბა-ს ფინალსაც უწია, „სიქსერზის" ლიდერ ალენ აივერსონს კი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში ღირსეული კონკურენტი არ გამოუჩნდა. „ფილადელფიასგან" წლეულსაც იგივეს ითხოვენ და ეს გუნდი ჯერ კიდევ რჩება კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტად. ჯერ კიდევ იმიტომ, რომ „სიქსერზი" ლამის წალეკოს ტრავმებმა. რამდენიმე კვირის წინ უკანახაზელებმა აივერსონმა და აარონ მაკიმ ერთდროულად გაიკეთეს ოპერაცია და სავარაუდოდ, სეზონის დასაწყისს გააცდენენ. ეს კიდევ არაფერი, სეზონის პირველ ნახევარს გამოტოვებს ძირითადი გამთამაშებელი ერიკ სნოუ, ასე რომ, არც ფინალისტთა დაღმასვლა იქნება მოულოდნელი.

სხვა მხრივ კი, გუნდს თითქოს არ უშავს. ჯანზეა დაცვის ბურჯი დიკემბე მუტომბო, ხოლო ძირითადი თავდამსხმელის ტაირონ ჰილის სამ კალათბურთელში გაცვლამ გუნდის სკამი უნდა გააძლიეროს. ჰილის ადგილს, სავარაუდოდ, მეორე ცენტრი — მეტიუ გეიგერი დაიკავებს, რომელსაც კარგი საშუალო სროლა აქვს და თავდამსხმელობაც შეუძლია.

წინა სეზონში კოლეგათა შორის საუკეთესოდ დასახელებული ფილადელფიელთა დამრიგებელი ლარი ბრაუნი შეეცდება, შეგირდთა ტრავმების მიუხედავად, მათ რეგულარულ ჩემპიონატში 55-60 გამარჯვება მოახვეჭინოს, პლეი ოფში კი რაც შეიძლება წინ წასწიოს „სიქსერზი". მერე კი, ალბათ, პენსიაზეც გავა.

## ვაშინგტონ ვიზარდსი

დედაქალაქელებს ჰყავთ მაიკლ ჯორდანი და ამით თითქოს ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვა ხეირიანი მათ შორის არავინაა. საგამოფენო თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, 38 წლის ჯორდანი მშვენიერ ფორმაშია და სანამ კიდევ ერთხელ წასვლას გადაწყვეტს, ბევრს აჩვენებს, როგორ უნდა კალათბურთის თამაში. თავად „ვაშინგტონი" იხეირებს თუ არა ამით, ძნელი სათქმელია.

„ჯადოქრების" მიზანი პლეი ოფში მოხვედრაა. ჯორდანთან ერთად ეს შეიძლება რეალობად იქცეს, თუმც მარტო მაიკლი ვერას გახდება, თუ გვერდში მდგომებმა ვერ ივარგეს.

სხვა მოთამაშეთაგან აღსანიშნავია რიჩარდ ჰამილტონი, რომელიც წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 18 ქულას აკეთებდა. ფარქვეშა საქმეების მოგვარება ვეტერან კრისტიან ლეიტნერს და ახალბედა კვეიმ ბრაუნს დაევალებათ.

ბრაუნი წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერია, ამდენად, პოტენციურად საუკეთესო ახალბედაც, თუმც მხოლოდ პოტენციურად, რადგან ჯერ ნბა-ს ოფიციალურ შეხვედრაში არ უთამაშია, საგამოფენო მატჩებში კი თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა.

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური 24 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**A ჯგუფი**

ბენეტონი 86:78 შარლერუა

ოლიმპიაკოსი 101:79 შლიონსკი

ეფესი 78:72 ალბა

**B ჯგუფი**

კინდერი 68:60 ულძერი

**C ჯგუფი**

კრკა 94:100 სკიპერი

**D ჯგუფი**

პარტიზანი 85:80 ულკერ [illegible]

(ძირითადი დრო 70:70)

ციბონა 85:76 ოსტენდე

ვილერბანი 63:80 სკავოლინი

აეკ 85:82 ტაუ

(ძირითადი დრო 75:75)

## NBA. საგამოფენო მატჩი



ტიმ დანკანი (ბურთით) მაიამელი შონ მარქსის წინააღმდეგ

# სტეფანია მარქსიზმს ებრძვის

23 ოქტომბერი

**მაიამი 90:88 სან ანტონიო**

**მაიამი: ჰაუსი (24), დევისი (4), ჰამილტონი, გრანტი (4), მურნინგი (12); ელისი (14), გილი (13), მეკი (13), სტეფანია (16 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), მარქსი (2 ქულა, 11 მოხსნა)**

**სან ანტონიო: დანიელსი (9), ს. სმიტი (6), ბოუენი (5), დანკანი (22 ქულა, 12 მოხსნა), რობინსონი (7); ჯექსონი (9), მაკასკალი (8), პარკერი (6), ფერი (5), პარქსი (4), პორტერი (3), როუზი (2), ჩ. სმიტი (2)**

ზედიზედ ოთხი საგამოფენო მარცხის შემდეგ ჩვენებური ვოვა სტეფანიას „მაიამი ჰითმა" ნავსი და „სან ანტონიო" გატეხა და წინასასეზონო შეხვედრები გამარჯვებით დაასრულა. სტეფანიას წინა, „მინესოტასთან" მატჩში არ უთამაშია, ამჯერად კი დამრიგებელმა პატ რაილიმ 16 წუთი ამყოფა მოედანზე. ვოვას ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, თუმც მის გარჯას არც ურიგო ეთქმის, ოთხი სროლიდან ორი ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს და მხოლოდ ორჯერ დაჯარიმდა მეტოქეებზე — უმძლავრეს მეფარეებზე ტიმ დანკანსა და დევიდ რობინსონზე. დანკანმა 18 წუთში ექვსი პერსონალური მიალებინა მასპინძელთა ერთ-ერთ ლიდერ ბრაიან გრანტს და თავიდან მოიშორა, ხოლო რობინსონმა ბევრი აწვალა და 12 ქულას დააჯერა კიდევ ერთი მასპინძელი, ალონზო მურნინგი.

„მაიამი" სეზონს სხვებზე ერთი დღით გვიან, 31 ოქტომბერს იწყებს. მას მოსამზადებლად შვიდი საგამოფენო შეხვედრა ჰქონდა, რომელთანაც ხუთი წააგო და საეჭვოა, ეს შედეგი მწვრთნელთა შორის უგამოჩენილეს პატ რაილის აკმაყოფილებდეს. საერთოდ „მაიამის" შემადგენლობაში ორი ათეული მოთამაშე ირიცხება, რომელთაგან რაილი 12 დაიტოვებს. ჯერაც უცნობია, რჩეულთა შორის მოხვდება თუ არა ვლადიმერ სტეფანია. „ჰითის" ძირითადი ცენტრი ალონზო მურნინგი გახლავთ. მისი შეცვლის უფლებისთვის კი სტეფანიას შონ მარქსი და ერნესტ ბრაუნი ეცილებიან და ცხადია, შემადგენლობაში ადგილი ყველასთვის ვერ გამოინახება. არავინ იცის, რამდენად კმაყოფილია რაილი განვლილ შეხვედრებში სტეფანიას თამაშით. ჯერჯერობით ვოვას უმთავრესი მიზანი გუნდის თორმეტკაცა შემადგენლობაში მოხვედრა უნდა იყოს, მერე კი ვინ ვნახოთ...

„მაიამის" არც ერთი საგამოფენო მატჩი არ ჩაუტარებია სრული საბრძოლო შემადგენლობით, ამდენად დანამდვილებით არავინ უწყის მისი ძალა. ძირითადი მსროლელი ედი ჯონსი ტრავმას იმუშებს. ასევე ძირითადისთვის შეგულებული გამთამაშებელი ენტონი კარტერიც არ გამოჩენილა ამ მატჩებში. მწვრთნელებმა კი უამრავი კალათბურთელი გამოცადეს და თუ ვინმე მოეწონათ, პირველ რიგში უკანახაზელი ედი ჰაუსი. მას გუნდში ადგილი გარანტირებული აქვს, ჯერჯერობით მაინც, ისევე როგორც ახალგადაყვანილ გამთამაშებელ როდ სტრიკლენდს, რომელსაც ასევე არ მიუღია მონაწილეობა საგამოფენო შეხვედრაში.

**ივანე კოზიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS ლონდონიდან

# ჩრდილოეთში და სამხრეთში

ლონდონს ჩასული ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრები თავის გრძელ ევროპულ ტურნეს სწორედ ამ ქალაქში, ინგლისელებთან ტესტით დაიწყებს. თამაში თვიქნემში გაიმართება 10 ნოემბერს. მანამდე კი ოზები ქალაქის დასავლეთით, იმპერიალ კოლეჯის მინდორზე ვარჯიშობენ. ჩანს, სტუმრები კარგ გუნებაზე არიან, რახან მწვრთნელ ედი ჯონსს ყოველთვის მოეძებნება ერთი-ორი საოხუნჯო სიტყვა შეგირდების ხასიათზე მოსაყვანად. ამასობაში კი დუბაის ჩაფრენილა პაკისტანელ მოკრიკეტეთა ნაკრები, რომელიც შარჯას სამი ერის თასისთვის იასპარეზებს. პაკების ლეგენდარული მოთამაშე ვაზიმ აკრამი (წინ) და მწვრთნელი მუდასარ ნაზარი დიახაც რომ თასის მოპოვებას ფიქრობენ, რაც შრილანკელთა და ზიმბაბველთა ძლევით თუ მოხერხდება.



REUTERS დუბაიდან


REUTERS ლუისვილიდან

# ამერიკელი კომბლე

მოდის ბეისბოლის მსოფლიოს სერიის დასაწყისი. პირველი თამაში 28 ოქტომბერს გაიმართება ფინიქსის „ბენქ ვან ბოლპარკზე". ტიტულის მოცილენი ნიუიორკელი იანკები და ფინიქსისავ „არიზონა დაიმონდბექზი" არიან. ამ დღეებში კი საქმე არ აკლია ამერიკელ კომბლეს, ბეისბოლის კეტების უბადლო მთლელ ხელოსანს, მხცოვან სებერტ დოჯს. ის ნიუიორკელებისთვის ამზადებს კეტებს და შეიძლება ითქვას, ამ საქმეს შეაბერდა.

# მოახლოვდა

ახლოა მძიმე წონის მოკრივეთა დიდი საჩემპიონო ბრძოლა. ბალტიმორელ ჰასიმ რაჰმანს ჩემპიონის ორი ქამარი უპყრია, რომელნიც ერთი იღბლიანი დარტყმით მოიპოვა ლენოქს ლუისთან ბრძოლაში. ახლა კი მოახლოვდა მატჩ-რევანში, რომელსაც ათასგვარი ხრიკებით უშლიდა ხელს პრომოუტერი დონ კინგი. მატჩ-რევანში 17 ნოემბერს გაიმართება, ლუისს კი უკვე დაუცია ბანაკი პენსილვანიის შტატის ქალაქ სკოტრანში და თავდაუზოგავადაც ვარჯიშობს.



REUTERS ოტავადან



REUTERS სკრენტონიდან

# წესების დაცვით

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ტრადიციისამებრ დიდი ბრძოლებია. ნიუჯერსელთა და ოტაველთა შეხვედრა პირველთ 2:1 მოუგიათ, მათ ფორვარდ ჯონ მედენს კი ოტაველთა მეკარე პატრიკ ლალიმი დაუნდობლად წაუჩეხია, თუმცა, ამისთვის ორწუთიანი ჯარიმაც არ მიუღია, რახან ძალისმიერი ილეთი წესების დაცვით შეუსრულებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge